



საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედგდით ბეჭდუბით სიფყვას, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბბბის გაცხანა ყუულა უკადბბბბბბბ უსაბბბბბბბ.


დაარსებულია
 1918 წელს.



სამუბბბბბბ, **23** დეკემბერი, 2014 წელი.
 №258 (7639)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

 ვებ გვერდი: www.open.ge
 ფასი 50 თეთრი.



„საკაუბილი ბზაზე ღარიბაუბილს არ გადაეყაროს!“

②

— ევროპარლამენტში ირაკლი ღარიბაუბილის წასვლა არ იგეგმებოდა და სხდომას სააკაუბილი რომ დაესწრებოდა, ეს ცნობილი სამი დღის წინათ გახდა. ღარიბაუბილის სტრასბურგში არწასვლას სააკაუბილთან კავშირი არ აქვს. ღარიბაუბილს არანაირი საფუძველი არ აქვს, რომ სააკაუბილთან შეხვედრას თავი აარიდოს, პირიქით კი, — სააკაუბილი გზაზე ღარიბაუბილს არ გადაეყაროს.

სიხლუ ქართულ კარდიოლოგიაში

„პელსიკორი“ — ჯანმრთელი გული,


⑤

სარისხი, სანდოობა, პროფესიონალიზმი, პაციენტბბბბბბბბბ გამორჩეული დამოკიდებულება, ყველგან და ყველგარეში თანამედროვეობა და სიხლუ — ეს ის კომპონენტბბბბბ, რაც თვალში სვდებბბბბ „პელსიკორში“ უბო-სულ ადამიანებს.

კლინიკა, რომელსაც ველოდით!

შთაბერა ქარმა და იმღერა პატარა ქალმა...

⑥




გენერალური ელიზნის სიღუბლო გამგზავრება ყირიბში: სტალინს ჩეკისტბბბბ ავტომატბბბბით იცავდნენ

⑦

უხდომას სჭირდება აღიარება და ბოდიშის მოხდა, რას ჩემი აზრით, თავდაცვის მინისტრს არ გაუჭირდება



ამ ტიპის პოლიტიკური შინაარსის განცხადება თავდაცვის უწყებას არ უნდა გაეკეთებინა. ვესაუბრე თავდაცვის მინისტრს და თვითონაც ძალიან შეწუხებულია, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაუბილი უკრაინაში ქართველი მებრძოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას.

„მეც არ მომეწონა თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება. მიმაჩნია, რომ ამ ტიპის პოლიტიკური შინაარსის განცხადება თავდაცვის უწყებას არ უნდა გაეკეთებინა. მე თავად ვესაუბრე თავდაცვის მინისტრს და თვითონაც ძალიან შეწუხებულია. მინდა, პირველ რიგში მწუხარება გამოვთქვა ალექსანდრე გრიგოლაუბილის დაღუპვის გამო და მივუსამძიმრო მის ოჯახს და მე ქედს ვისრე ამ ადამიანის ხსოვნის წინაშე. რაც შეეხება განცხადებას, მე მას არ ვიზიარებ, მიმაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრო არ უნდა აკეთებდეს მსგავს განცხადებას, მაგრამ მინდა, გთხოვოთ, რომ ამ ფაქტის დრამატიზებას ნუ მოვასდენთ, შეცდომა ყველას მოსდის, არავინ ვართ შეცდომისგან დაზღვეული. მაგრამ, შეცდომას სჭირდება აღიარება და ბოდიშის მოხდა, რაც ჩემი აზრით, თავდაცვის მინისტრს არ გაუჭირდება“ — განაცხადა ღარიბაუბილმა.



სიამაყე გვარისა და გენის ბაბო

⑧

უახსუნიშობალო პოლიტიკოსები თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ უბი პიარის აბოკებას სდილოვან

თავდაცვის სამინისტრომ შეცდომა დაუშვა, ამის გამო ბოდიში მონახდა და ამ ფონზე მასზე ისტერიული თავდასხმა უწყებას დამატებით შეურაცხყოფას აყენებს, — აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაუბილა გააკეთა.

დეპუტატის შეფასებით, შექმნილი ვითარებით უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები სარგებლობენ, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ უბი პიარის აბოკებას ცდილობენ, რაც მისივე თქმით, კიდევ უფრო არაეთიკურია. კითხვას, არის თუ არა ინფორმირებული, თუ ვინ იყო აღნიშნული განცხადების გავრცელების ინიციატორი და ხედავს თუ არა პრობლემას, თუკი განცხადება უწყების ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად გავრცელდა, სესიაუბილი უსუსოდ ტოვებს. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეტალებში შესვლა არ სურს.



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვბბბბ ვერ ნახავ!..

ალიანსიანი

დავით, ბატონო, თქვენ ჯარისკაცის კუბოსთან ღვაწლი!



ბსმ ეხმაურება თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე უკრაინაში ქართველი მებრძოლის ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებას.

თავდაცვის სამინისტროს საიტზე განცხადება წაშლილია

თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში ქართველი მებრძოლის ალექსანდრე გრიგოლაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შაბათს გავრცელებული განცხადება ოფიციალური ვებ-გვერდიდან წაშალა.

თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში საქართველოს მოქალაქის ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო შაბათს ღრმა მწუხარება გამოთქვა და მის ოჯახს მიუსამძიმრა. ამავე დღეს თავდაცვის სამინისტრომ პასუხისმგებლობა უკრაინაში გარდაცვლილი ჯარისკაცის გამო წინა ხელისუფლებას დააკისრა.

32 წლის ალექსანდრე გრიგოლაშვილი, რომელიც 2007-2008 წლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, უკრაინაში 18 დეკემბერს დაიღუპა.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის ლევან ღირსიაშვილის ინფორმაციით, უწყების განცხადების შეთანხმება მინისტრთან ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა.

„ეს იყო შეცდომა და ბოდიშს ვუხდით საზოგადოებას. რაც შეეხება იმას, ვინ დაწერა ტექსტი – მომზადდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ. მთლიანი ტექსტი მინისტრთან შეთანხმებული არ ყოფილა იმ სახით, რა სახითაც იხილა ეს საზოგადოებამ. შესაბამისად, ვინაიდან ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ ეს არის შეცდომა და ბოდიში მოვუხადებთ საზოგადოებას, კითხვა – რატომ გაქრა ტექსტი ვებ-გვერდიდან, პასუხაც ვეძებთ. ეს იყო ტექნიკური შეცდომა, ხარვეზი, რის გამოც ბოდიშს ვუხდით საზოგადოებას, გარდაცვლილის ოჯახს“, – აღნიშნა ღირსიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, შაბათს საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინდა ჯანელიძე სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა და ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ტექსტის საბოლოო ვარიანტის შეთანხმება თავდაცვის მინისტრთან და ხელმძღვანელობასთან.

კითხვაზე დაისაჯა თუ არა ის, ვინც შეცდომა დაუშვა, ღირსიაშვილი პასუხობს, რომ „შესაბამისი რეაგირება აუცილებლად იქნება“.

უნდა მოჩვენა პოლიტიკურმა სპექტრისკენი, ვითომ ყველას, თავი დაგვანებო

როზმორც გარდაცვლილის მამამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ის თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარს არ გააკეთებს.



„მე მინდა მადლობა ვუთხრა მთავრობას და ხალხს, რომ ჩემი შვილის გადმოსვენებაში დაემხმარნენ. უნდა მოჩვენა პოლიტიკური სპექტრისკენი და ვთხოვ ყველას, თავი დაგვანებონ. არავის დაუძალებია ჩემი შვილისთვის საომარად წასულიყო. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, მათ განცხადებაზე კომენტარს არ გააკეთებ“, – აღნიშნა გარდაცვლილი ჯარისკაცის მამამ.

რატიფიცირების ეპოქა

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ ასოციაციის ხელშეკრულების რატიფიკაცია საშობაო საჩუქარი არ არის და საქართველოს ხელისუფლებას ძალიან ბევრი საშინაო დავალება აქვს შესასრულებელი.

თუ რა პროცესები მოჰყვება ასოციაციის ხელშეკრულების რატიფიკაციას, ამის გაგების მიზნით, for.ge დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს ესაუბრა.

– ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულება რატიფიცირებულია. ქართველი ხალხი, რას უნდა ელოდოს?

– რატიფიცირება საშობაო საჩუქარი არ არის და ამაზე სტრასბურგში აქცენტი რამდენჯერმე გაკეთდა. ამ დოკუმენტის რატიფიკაციით, პრაქტიკულად, საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით, ახლა ერაში შედის. საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირის მიხედვით აქტიურ ფაზას იწყებს და შესასრულებელი ძალიან ბევრი საშინაო დავალება გვაქვს. ამ ნანატრ გზაზე თუ რამდენად სწრაფად ვივლით, ეს ჩვენზე დამოკიდებულია. ამ პროცესის ლოგიკური დასასრული ევროკავშირში განეწინააღმდეგება იქნება.

– თქვენ ბრძანით, რომ ძალიან ბევრი საშინაო დავალება აქვთ შესასრულებელი. რას გულისხმობთ?

– ასოციაციის ხელშეკრულებით კონკრეტული ამოცანები დასახულია, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის მიმართ, რომელსაც დაახლოებით 300-მდე კანონპროექტის მომზადება და მიღება მოუწევს. ამ კანონპროექტების მიზანი კი იქნება საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის რეგულაციებთან შერწყმის მიყვანა. ამას გარდა, რეგორმები უნდა გაგრძელდეს როგორც სასამართლოს მიმართულებით, ასევე ძალადობის უწყებების თვალსაზრისით.

– ასოციაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სიკეთე ევროპასთან უფრო მიმდრეკილია როგორც ფიქრობთ, ეს რეგულაცია 2016 წლიდან ამოქმედდება?

– ევროპარლამენტმა თავისი რეგულაციით ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას რეკომენდაციით მიმართა, რომ საქართველო ვიზა-ლიბერალიზაციის მეორე ეტაპზე გადავიდეს, რადგან საქართველომ პირველი ფაზა წარმატებით დაასრულა. ჩავთვალოთ, რომ მეორე ეტაპი დაწყებულია, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი არ იქნება. ვიმედოვნებთ, რომ ამ ეტაპს რიგის სამიტამდე წარმატებით გავივლით და ამ ეტაპის შემადგენელი იქნება საქართველოში მონიტორინგის ჯგუფების ჩამოსვლა, რომლებიც ამ პროცესს შეაფასებენ. ეს პროცესი რიგის სამიტზე წარმატებით უნდა გავიაროთ, რომ ვინმეს შეეძლოს არ გაუხედეს, საქართველოს ეკუთვნის თუ არა ვიზა-ლიბერალიზაცია.


– ევროპარლამენტმა ასოციაციის ხელშეკრულების რატიფიკაციის პარალელურად, რეგულაციები მიიღო, სადაც საქართველოში არსებულ შერჩევით სამართალზე საუბარი. დოკუმენტი ნათქვამია, რომ თუკი ამ პროცესის გაგრძელება მოხდება, ეს საქართველოს ევროპულ კურსს შეუქმნის საფრთხეს...

– დოკუმენტი ძალიან დაბალანსებულია და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან რეგულაციებში ჩვენი ხელისუფლებისთვის ძალიან ბევრი მოტივაციაა, რომ კრიტიკული შენიშვნებზე ადეკვატური რეაგირება მოახდინოს. რაც შეეხება შენიშვნებს, ევროპარლამენტი შერჩევით სამართალზე პირდაპირ არ მიუ-



„საკავშილო გზაზე ღარიბაშვილს არ გადაეყაროს!“

თითებს და მათი მხრიდან აზრი გამოთქმულია, რომ თითქოს, შერჩევითი სამართლის ნიშნები არსებობს. ევროპარლამენტში სხვადასხვა პოლიტიკური ძალები არიან წარმოდგენილი, რომელნიც პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოში ასეთი სიტუაციის არსებობაზე მიუთითებენ, რაც საკამათოა. ევროპარლამენტის დეპუტატებმა პატივი თუნდაც ევროპის ადამიანის უფლებებთან სასამართლოს გადაწყვეტილებებს უნდა სცენ. იმ დარბაზის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ასოციაციის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა, ადამიანის უფლებათა სასამართლოა, რომელმაც სანდო გირავლიანის საქმეთან დაკავშირებით, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს განაჩენი გამოუტანა. შესაბამისად, იმ ევროდეპუტატების ადგილზე უფეროობა შეექმნებოდა, რომლებიც შერჩევით სამართალზე საუბრობენ.



– ევროპარლამენტში ასოციაციის ხელშეკრულების რატიფიკაციას მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა, რომ მას არ სურს, საქართველო ოროსანი იყოს, მაგრამ ამჟამად, სამოსანია...

– ეს მისი ცნობილი ცინიკური რიტორიკაა. სააკაშვილმა რაც უნდა ბევრი ილაპარაკოს, ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, საქართველო ევროკავშირის მიერ დასახულ ამოცანებს რამდენად შეასრულებს. სააკაშვილის კრიტიკა ჩემთვის ფასეულობას არ წარმოადგენს და მის კრიტიკაზე შეფასების გაკეთება ყოველთვის იძულების ნესით მიხდება.

– სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საბრუნველყოფის პასპორტი ჩამოართვის. საგარეო საქმეთა სამინისტ-

როს მხრიდან მსგავსი რამ მართლად მოხდა?

– სააკაშვილის მხრიდან საზოგადოების ამდენ „დაბოლებას“ რა მიზანი აქვს, აღარ ვიცი. არანაირი საბრუნველყოფის პასპორტი არ არსებობს, ყოფილ პრეზიდენტს დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება აქვს და მას რამდენიმე დიპლომატიური პასპორტი აქვს.

– ყოფილ პრეზიდენტის მსგავსად, ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც დაესწრო, მაგრამ სტრასბურგში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არ გაემგზავრა. 27 ივნისს, ასოციაციის ხელშეკრულებას ვინ მოაწერდა ხელს – პრეზიდენტი თუ პრემიერი, ამაზე მმართველ გუნდში აჟიოტაჟი იყო ატეხილი. ღარიბაშვილი სტრასბურგში, ახლა რატომ არ წავიდა?

– წინა ღონისძიება კავშირში უშუალოდ აღმასრულებელ ხელი-სუფლებასთან იყო და მნიშვნელოვანი იყო, რომ მას პრემიერ-მინისტრი დასწრებოდა. ამჟამად, ევროპარლამენტიდან მოწვევა პარლამენტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო დელეგაციას მოუვიდა. ბოლო მომენტამდე იგეგმებოდა, რომ პლენარულ სხდომას დავით

უსუფაშვილი დაესწრებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ამ მოწვევას ვერ მიიღებდა, პოლიტიკური გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ სტრასბურგში პრეზიდენტი გამგზავრებულიყო.

– პოლიტიკურ წრეებში ინსინუაციები გაუფრთხილდა, რომ სტრასბურგში ღარიბაშვილი იმის გამო არ წავიდა, რომ იქ მი-

ხილ სააკაშვილი იქნებოდა. მსგავსს რამეს გამოიცხადებ?

– ევროპარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილის წასვლა არ იგეგმებოდა და სხდომას სააკაშვილი რომ დაესწრებოდა, ეს ცნობილი სამი დღის წინათ გახდა. ღარიბაშვილის სტრასბურგში არწასვლას სააკაშვილთან კავშირი არ აქვს. ღარიბაშვილს არანაირი საუფრთხილო არ აქვს, რომ სააკაშვილთან შესვენებას თავი აარიდოს, პირიქით კი, – სააკაშვილი გზაზე ღარიბაშვილს არ გადაეყაროს.

– რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებას, მან თქვა, რომ მზად არის, ქართულ მხარესთან დიალოგი დაიწყოს და მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტს, ან პრემიერს უმასპინძლოს. მაშინ, როდესაც რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან ენ. შეთანხმება გააფორმა და მათ ანექსიას გეგმავს, კრემლთან მოლაპარაკებების დაწყება როგორ წარმოგადგენია?

– საქართველოს არანაირი მოტივაცია არ გვაქვს იმის, რომ რუსეთის პირისპირ მოლაპარაკებების მაგიდასთან დავუჯდეთ. საქართველოსთან მიმართებაში, მიუხედავად პუტინის სევდანარევი განცხადებებისა, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, საქმე ვისთან გვაქვს. რუსეთის მიერ საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია, ამ ფონზე დიალოგი როგორ დაიწყება? საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან დამოკიდებულება პრინციპულად შეცვალა და გამაღიზიანებელი რიტორიკა მოსწონს, მაგრამ მოსკოვის მხრიდან არც ერთი კონსტრუქციული ნაბიჯი არ გადადგმულა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ქვეყნის დეოკუპაცია მოახდინოს. მანამდე კი, ჩვენი ამოცანაა, შევინჯოთ ფორმატი შევინარჩუნოთ.

– შენთვის ფორმატს ჯერჯერობით შედეგი არა აქვს და შესვენება შესვენებისთვის იმართება. ამ ფორმატის გაძლიერებას არ აპირებთ?

– ქართულმა მხარემ ფიქრი შევინჯო ფორმატის გაძლიერებასა და ეფექტურობის გაზრდაზე უნდა დაიწყოს.

თიონა მანაგაძე

ანგარიშსწორება

„გაეოგლეთ მიზა უკრაინიდან!“

„საბარტმელოში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდს არაერთგვაროვნად აფასებენ. აშკარაა, რომ მან და მისმა თანაგუნდელებმა პოსტსაბჭოურ ნანგრევებში მყოფი ქვეყნიდან სახელმწიფო შექმნეს, რამდენიმე რეფორმა მართლაც წარმატებით განახორციელეს. ამით უკრაინაში ისე აღფრთოვანებულნი არიან, რომ მთავრობაში ყოფილი ქართველი ჩინოვნიკები მიიწვიეს, ქართული გამოცდილების გასახილველად და განსახორციელებლად. მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ეპოქას მეორე მხარეც აქვს: მმართველობის დიქტატორული სტილი, ანგარიშსწორება მიუღებელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ, უბრალო მოქალაქეების აბურხად აგდება, ადამიანის უფლებების უამრავი დარღვევა... სწორედ ამიტომ მიხო, პრეზიდენტობის ვადის დასრულებისთანავე, იძულებული გახდა, სას-

უკრაინის ბიზნესი ახლა-ლაპის ისტორია რომორს მიხილ სააკაშვილის რეფორმების ბნელი მხარე

წარაფოდ წასულიყო ქვეყნიდან. უკრაინაში, ამ ფაქტების შესახებ ძალიან ცოტას ან საერთოდ არ ლაპარაკობენ, უფრო სწორად აქცენტი საქართველოს ექს-პრეზიდენტის წარმატებულ რეფორმებზე გადააქვთ. მაგრამ მიხეილ სააკაშვილის საქმეების ბნელი მხარეც უნდა ვიცოდეთ, რომ იგივე არ გავიმეორებოთ“, — ნათქვამია პუბლიკაციის დასასრულში, შემდეგ კი კორესპონდენტი ესაუბრება გიორგი აბდალაძეს, ე.წ. „ფოტორეპორტიორების საქმის“ ფიგურანტს. ეს მოხდა 2011 წლის ზაფხულში, როცა სახელმწიფოს ლაღატისა და ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი ცნობილი ქართველი ფოტოჟურნა-



გიორგი აბდალაძე ვრცელ ინტერვიუში დეტალურად ყვება დაპატიმრების ფაქტს, პროკურატურის მიერ წაყენებულ ცრუ ბრალდებებს, მძაფრ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არჩადენილი დანაშაულის აღიარების მიზნით...

გიუჯეტის წურბალები

ზამთრის პერიოდში სააკაშვილის ხელდასმული პრეზიდენტის რწმუნებულები თავიანთი მმართველის მიერ შეუზღუდავად ინერდენტ პრემიებს და სახელფასო დანაშაულებს. გულუხვად აჯილდოვებდნენ ქვეშევრდომებს. საკუთარი შეხედულებისამებრ ხდებოდა სამსახურებრივი მომსახურებისთვის ტრანსპორტის (თანაც ძვირად ღირებული) შეძენა, თუმცა, ქვეყნის პირველ პირს სახელმწიფო თანხების არარაციონალურად გაცემა არც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „მაღალის“ უფლებების მკვეთრად შემცირების შემდეგ შეუწყვეტია. პირიქით, უფრო მოუმატა თანხებს საკუთარი რჩეულებისთვის, მაგრამ როგორც ექსპერტები და სპეციალისტები ასკვნიან, ყოველივე ამას უკვე არა რჩეულთა წახალისების მიზნით, არამედ უფრო ახალი ხელისუფლების ჯიბრზე აკეთებდა, რათა მისი პოსტზე ყოფნის პერიოდში ვადის ოფიციალურად ამონურვის შემდეგ არჩევნების გზით მოსულ „ოცნების“, მთავრობას რაც შეიძლება ნაკლები თანხები დარჩენოდა განსაკარგავად, მნიშვნელოვნად შესუსტებული ბიუჯეტი დახვედროდა. არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის მიერ გამოთხოვილი და აგრეთვე სამხარეო ადმინისტრაციებიდან შესული ინფორმაციების ანალიზით ასკვნიან, რომ ყოფილი გუბერნატორები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად მათდამი დაქვემდებარებული უწყებების ავტოპარკის განახლებას, ახალი, პრესტიჟული, უწინდელზე ბევრად ძვირად ღირებული სატრანსპორტო საშუალებებით. პრეზიდენტის რწმუნებულის სამეგრელო-ზემო სვანეთის აპარატში ახალმოსულთ 2014 წლის დასაწყისის მონაცემებით, დახვდა 12 ძვირად ღირებული მანქანა საერთო ფასით - 261840 ლარი. აქედან ყველაზე ძვირად ღირებულია BMW X5 (71358 ლარი). 2011 წელს აქ 2 ავტომანქანა ახლით შეიძვალა, ძველი 11 000 აშშ დოლარად შეფასებული „ტოიოტა ქამრი“ ჩაანაცვლეს სულ ახალი, 31900 დოლარის ღირებულების ამავე ფირმის მანქანით, ხოლო 20 500 დოლარად შეფასებული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ შეცვალეს 2011 წელს გამოშვებული იმავე ფირმის 42 100 დოლარის ღირებულების მანქანით. იმერეთის ანალოგიურ სამსახურში, მიმდინარე წლის დასაწყისის მონაცემებით 17 ავტომობილია რეგისტრირებული - 252 409 ლარი. თავად რწმუნებულს ემსახურებოდა 67 000 ლარის ღირებულების 2011 წელს გამოშვებული „ტოიოტა პრადო“, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, მის პირველ მოადგილეს უფრო ძვირად ღირებულ, 2012 წელს შესყიდული 89 868 ლარის ღირებულების იგივე მარკის მანქანა უწევდა მომსახურებას. შიდა ქართლის გუბერნატორსა და მის აპარატს ტრანსპორტის 10 ერთეული ჰყავდა აღრიცხვაზე, საერთო ღირებულებით 218949 ლარი, როგორც არასამთავრობოების გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, 77 600 ლარად შეძენილი „ტოიოტა ლენ-

„მტარკული ბიზნისი“ და მისი ფაქტობრივი „ჭია“

დკრუიზერ პრადო“ მიმაგრებულია (დღესაც) ადმინისტრაციის შტაბგარეშე თანამშრომელზე, ვინმე ვლადიმერ ალიბეგაშვილზე. ამის მიზეზი უცნობია. როგორც ჩანს, „ლენდკრუიზერები“ გუბერნატორების სისუტე იყო. ქვემო ქართლის გუბერნატორმა 2008 წლის რუსეთის აგრესიიდან, ორ თვეში, მომსახურებისთვის შეიძინა აღნიშნული მარკის მანქანა 72900 ლარად. ამის გარდა კი, სამსახურში რიცხულია 5 სატრანსპორტო საშუალება 47 000 ლარის ღირებულებით. ყველაზე დიდი რაოდენობით პრემია 2013 წელს გაცა იმერეთის რწმუნებულის ოფისში - 111 0999 ლარი, მას მოჰყვებიან სამეგრელო-ზემო სვანეთის - 103 945 ლარი და ქვემო ქართლის - 95 500 ლარი, ადმინისტრაციები. „მაღალი“ უხვად გასცემდა საჩუქრებს, ამის შესაბამისად მიიღეს ქვემო ქართლისა და იმერეთის, „ნამესტნიკებმა“ — მამუკა ჩიქვაძემ და ვახტანგ ბალაგაძემ. წახალისებულთა შორის ცალკე გამოყოფის ღირსია რჩეულთა შორის უპირველესი ზურაბ ჭიაბერაშვილი. მან დანამატის სახით გასულ წელს 26 200 ლარი მიიღო. ანალოგიკოსი დათო ჭიჭინაძე აღნიშნავს, ჭიაბერაშვილი პრეზიდენტის ოფისის ფენომენს წარმოადგენდაო, თუმცა, ვერ გაუგია, საიდან გაჩნდა ის. სპეციალისტი აკონკრეტებს: „თავისუფლების ინსტიტუტის „პირმო“ —, ჭია“ მოულოდნელად ინიშნება ცსკ-ოს თავმჯდომარედ და ისე ოსტატურად აყალბებს არჩევნების შედეგებს და იმდენ პროცენტთან უპირატესობას აჩვენებს სააკაშვილის სასარგებლოდ, რომ პირველის ალტაცებას და ცნობილი გამყალბებლის ხათუნა გოგორიშვილის და გიგა ბოკერიას გაოცებასაც კი იწვევს. იმდროინდელი პრეზიდენტი ერთგულ მსახურს გარჯას უფასებს და დედაქალაქის მერად ნიშნავს. ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში, ჩვენთან მოსა-



ფოტორეპორტიორების საქმის ფიგურანტს, ე.წ. „ფოტორეპორტიორების საქმის“ ფიგურანტს. ეს მოხდა 2011 წლის ზაფხულში, როცა სახელმწიფოს ლაღატისა და ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი ცნობილი ქართველი ფოტოჟურნალისტი გიორგი აბდალაძე ვრცელ ინტერვიუში დეტალურად ყვება დაპატიმრების ფაქტს, პროკურატურის მიერ წაყენებულ ცრუ ბრალდებებს, მძაფრ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არჩადენილი დანაშაულის აღიარების მიზნით...

კაკალ გულში

ნეკროლოგიური თქაზები

● არესტანტის ბაიის გატანა არასწორი საქციელია, ძმად განაცხადო გიგი უგულავამ ვინო მერაბიშვილის სახლის გაქურდვის კომენტარებისას. ● ფრთხილად, ხალხო, ბავშვებს „ჩემი ოქრო ბიჭი“, ან „ჩემი ოქროს გოგო“ არ დაუთხოვოთ! გასაოცრებელი კიბლაშვილი ● ძენილი და ნაპოვნი პრეზიდენტებისა რა გითხრათ, საქართველო-მტერთვლების შერკინებაში კი, გენერალი ქალბატონი აშკარად დაჯანდაცვნიდა კანდიდატს. ● „ინც გინდა იფაგ, — გინდა არჩიფო, თუ გინდა ზაქრო — რა გინარია, შე შობელაღლო?“ (რუბლის კურსთან დაკავშირებულმა, უადგილო და უაზრო ლაზარდარობამ გამახსენა.) რუსეთის სიღატაკე საქართველოს რომ ამდიდრებდეს და აძლიერებდეს, კიდევ შო, მარა, — პირიქით როა? ● ქუთაისელი გოგო შედის ეკლესიაში. მამო ეკითხება: „შეიღო, რა გქვია შენ?“ „ნინო“. „მერე, როგორ ფიქრობ, წმინდა ნინო შარვლით დადიოდა?“ „მამაო, თქვენ რა გქვიათ?“ „გიორგი“. „არც წმინდა გიორგი დადიოდა ML-ის ჯიბით, და რა ვქნათ ახლა?“ ● ე.ი. ნელს თოვლის ბაბა უკვე კონილა იქნება? ● ძეგლი არ იყო... არც საბადო... და ეს ოსერი მუზეუმს რატომდა უშენებთ? იხე კი ტიპობის ამბავში? ● საქართველოში გამაღებთ იქნება სოციალური ორგანიზაციები ეროვნულ მოტივებზე. მაგ: „ბიზნა მესაია“, „აი მიზა დაბრუნდება და მერე“. კარგით რა ხალხო, კარგით რაააა, ვასი ნუ ფანათო ნუ! ● როგორც ყველა სოფელს ყავს ერთი გიგი, რამდენიმე ბოზი და ყველა სასტახს ერთი ჩანგალზე მოსიარულე, ეს ქაშირში აფეთქებულიც ეგრეა რა უსტად... P. S. Mokheil Saakashvili რკინის ქალაქში ჩივიდა და ისე იარე... ● მე გინდა მარტველაშვილი საქართველოში ჩამოსვლისთანავე პროკურატურაში უნდა მივიდეს და განაცხადოს, რომ დანაშაულებილი სააკაშვილი, სხვა შემთხვევაში ეს ნიშნავს დანაშაულის დაფარვასა და პოლიციაზე შეუტყობინებლობას. უსტად მაგ მოტივით ზის ერთი ჩემი მეზობელი ცისეში. არადა ფაიზალი ვიცი, რო არ ჩაუშვებს მარტველა. კაი ბიჭია, ტო! ამოკრიბა გია ბაბრძიძე

„ჰელსიკორი“ სულ რამდენიმე დღეა უაღრესად კეთილ-შობილური მიზნებით შემოვიდა ქართულ სამედიცინო ბაზარზე.

ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორი“ თევდორე მღვდლის 13-ში აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიმდებარედ, ახალთასალ შენობაში, მე-9, მე-10 სართულზე განთავსდა და უკვე უახლესი მეთოდებით ძალიან წარმატებულ ოპერაციებიც ჩაატარა!



ლევან ქარაზანიშვილი

ქართულ სამედიცინო სფეროში მძაფრი კონკურენციის პირობებში მოუწევს „ჰელსიკორს“ საკუთარი ადგილის დამკვიდრება, თუმცა, ის, რაც მას საქართველოს ალტერნატიული ცენტრებიდან გამოარჩევს, მისი უნიკალურობაა: აქ შემოსულ კარდიოლოგიურ პაციენტს ყველა საჭირო პროცედურა ერთ სივრცეში ჩაუტარდება. აქ არის კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, კარდიო-ქირურგია, სისხლძარღვთა ქირურგიის გაკვეთის გარეშე... შესაბამისად, პაციენტისთვის ურთულესი მანიპულაციები არის ნაკლებად სტრესული, ხოლო სრული რეაბილიტაციისთვის სჭირდება 3-5 დღე...

კლინიკის თანამფლობელია ცნობილი ებრაელი ენდოვასკულარული ქირურგი **რონი კარმელი**, რომელსაც საქართველოში არაერთი წარმატებული ოპერაცია აქვს გაკეთებული. ერთ დროს მონკვეული პროფესორი, ამიერიდან თბილისელიც გახდა და... საჭიროების შემთხვევაში, თვის რამდენიმე დღეს თავისივე კლინიკაში ქართველ პროფესიონალებთან ერთად იმუშავებს.

პროფესორი რონი კარმელი „მეიოს“ კლინიკაში კვალიფიკაციის შემდეგ განაგებს სიდიდით მეორე კლინიკას ევროპაში, სადაც წელიწადში ათასზე მეტ ოპერაციას აკეთებს, მათ შორის ინოვაციურ და ურთულეს შემთხვევებს. მისი ხელმძღვანელობით ასეთივე ოპერაციები ჩატარდება კლინიკა „ჰელსიკორში“. ამავე დროს ის მოამზადებს ახალგაზრდა ექიმებს ამ მიმართულებით.

„ჰელსიკორში“ ხშირად ჩამოვა ენდოვასკულარულ ქირურგიაში მოღვაწე გერმანელი პროფესორი **რალფი კოჰენაზი**, რომელიც რონი კარმელთან ერთად ურთულეს ოპერაციებს ჩაატარებს.

კარდიოლოგიურ დეპარტამენტს სათავეში უდგას გამოცდილი ექიმი და უკეთილშობილესი პიროვნება, პროფესორი **ნოდარ ეშხვარი**, რომელსაც თაობები ჰყავს ალზრდილი და დაფრთხილებული კარდიოლოგიის დარგში. ბატონი ნოდარი კლინიკის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

„მისარია, რომ ჩვენს ცენტრში თავი მოუყარეთ ნამდვილ პროფესიონალებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მაგრამ კიდევ უფრო მასარებს ის ფაქტი, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმები დაგვარჩენენ სამშობლოში. ამ წარმატებულმა პროფესიონალებმა მიატოვეს თავისი საქმე, მაღალი ანაზღაურება და ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა აქ გამოადგინენ ქვეყანას და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ გულთხეობილი ქართველების, ჩვენს ქვეყანაში“



ირაკლი გოგობიძე

მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა გამოჯანმრთელებაში, – ამბობს პროფესორი ნოდარ ეშხვარი და დასძენს: რაც შეეხება ებრაელ პროფესორს, ის ჩვენმა კოლეგამ შალვა რცხილაძემ მოიპოვა ისრაელიდან. მაშინ „კამოზე“ ვმუშაობდით. არ გვქონდა არანაირი პირობები, მაგრამ სირთულეების მიუხედავად, ბატონი რონი შალვა რცხილაძესთან ერთად უნიკალურ პროცედურებს ატარებდა. სწორედ მაშინ გაგვიჩნდა იდეა, ჩამოგვეყალიბებინა კომპლექსური სამედიცინო ცენტრი – ერთი საერთო სივრცე – კარდიოლოგიური პაციენტებისთვის. ბედნიერი ვარ, რომ ამ იდეის განხორციელება შეეძლო!“

სიახლე ქართულ კარდიოლოგიაში

„ჰელსიკორი“ – ჯანმრთელი გული, კლინიკა, როგორც ველოდით!



ნოდარ ეშხვარი

„ჰელსიკორის“ კარდიო-ქირურგიულ დეპარტამენტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი კარდიო-ქირურგი, იტალიაში მოღვაწე ქართველი პროფესიონალი **ლევან ქარაზანიშვილი**. მსოფლიო კარდიოლოგთა კონგრესზე მის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი მინინგვაზიური ოპერაცია ევროპაში პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი ოპერაციები ძალიან იშვიათად კეთდება ევროპულ ქვეყნებშიც, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის არ კეთდება, მით უმეტეს, ეს სიახლე საქართველოში. „ასეთ ოპერაციას პაციენტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ესთეტიკურად არის მისადაბლები. პრაქტიკულად ძვალი არ იჭრება, არამედ ოდნავ, 5-6 სანტიმეტრამდე განაკვეთი კეთდება ნეკნთა შუა სივრცეში... და მეორედ, პაციენტის რეაბილიტაციას სჭირდება მხოლოდ 3-5 დღე, როცა ტრადიციული მეთოდით სტაციონარში 8-10 დღე ყოვნდებოდა პაციენტი“, – გვისხნის ქირურგი ლევან ქარაზანიშვილი.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლევან ქარაზანიშვილი 1993 წელს მოსკოვში გადავიდა, ხოლო 1998 წლიდან იტალიის ერთ-ერთ ნამყვან კლინიკაში მოღვაწეობდა: „ადვილი არ იყო, წარმატებული სამსახურისთვის უარის თქმა, მაგრამ აქ, თბილისში ისეთი პროფესიონალების გუნდი დამხვდა, მათთან მუშაობა სიამოვნებას მანიჭებს. მართო ქირურგი ვერაფერს გახდებოდა, თუ მას საიმედო კოლეგები არ ჰყავს გვერდით. განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ 31 წლის ირაკლი გოგობიძით, რომელმაც უმძიმესი ოპერაციის დროს, ისეთი სტიმული მომცა, ყველაფერი წარმატებით დამთავრდა“.

ირაკლი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგია, უძლიერესი სპეციალისტი, რომელიც ასევე ისრაელიდან ჩამოვიდა. ის ამავე დროს „ჰელსიკორის“ სამედიცინო დირექტორიცაა. „მეც, ლევანისა არ იყო, წარმატებული კარიერა მქონდა ისრაელში, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ნამყვან კლინიკაში. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რეზიდენტურა ისრაელში გავიარე. 4600-მდე წარმატებული ნარკოზი მაქვს გაკეთებული, მაგრამ ამათ შორის არც ერთი არ ყოფილა ქართველი პაციენტი. არადა, ძალიან მინდოდა ჩემს ქვეყანაში მუშაობა... საბედნიეროდ, ეს სურვილი რეალობად მექცა. ჩვენი წარმატების გარანტი იქნება მაღალი ხარისხი და ის, რომ სიცოცხლესთან ერთად სასიამოვნო განწყობა შევუქმნათ „ჰელსიკორში“ მოხვედრილ პაციენტებს“, – აღნიშნა ექიმმა.

„ჰელსიკორის“ კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელია ინტერვენციონისტი **ირაკლი გოგობიძე**, რომელსაც ათასობით მადლიერი პაციენტი ჰყავს და ცნობილია მის მიერ ჩატარებული ურთულესი პროცედურებით. კორონაროგრაფიასთან ერთად ის ფლობს ენდოვასკულარული პროცედურების უმეტესობას და ამავე დროს კარდი-



რონი კარმელი

ორენიმაციას. მისი და პროფესორ რონი კარმელის თანამშრომლობა უდაოდ წარმატებული იქნება კლინიკისათვის. კლინიკაში მუშაობენ ახალგაზრდა, ნიჭიერი და გამოცდილი ექიმი-კარდიოლოგები, კარდიოქირურგები.

„ჰელსიკორის“ გენერალური დირექტორი გახლავთ **ბიძინა მჭინავა**. მან ბევრი იშრომა ამ კლინიკის კეთილმოწყობისთვის. ასევე დიდი წვლილი მიუძღვის კლინიკის ევროპული ტიპის დიზაინით მოწყობაში ისრაელიდან მონკვეულ სპეციალისტს **ილანა სლუცსკის**. კლინიკაში, ჯერჯერობით 34 სანოლია, თითოეული პაციენტისთვის გათვალისწინებულია თითო პალატა, 22 მ² ფართობით. პაციენტთან თავზე მდგომებისთვისაც განუთვნილია მოსასვენებელი ადგილი და პრობლემა არ ექნებათ, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულებს. რაც შეეხება უცხოელ სპეციალისტებს, აგრეთვე საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულთ, მათთვის ბოლო სართულზე სასტუმროს ნომრებია კეთილმოწყობილი.

„ჰელსიკორს“ კონტრაქტი აქვს გაფორმებული აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან, რომელიც გამოკვლევების სერიოზულ ბაზას ფლობს, სადაც უახლესი აპარატურით, ულტრა-თანამედროვე მეთოდებით ხდება დიაგნოსტიკა. ამდენად, „ჰელსიკორი“ სამეცნიერო ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გამოიყენებს. თავად ბატონი ფრიდონი აღფრთოვანებულია „ჰელსიკორის“ გუნდით: „მივსალმები ყოველი ახალი საქმის წამოწყებას, რომელიც მიმართულია ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ, კიდევ უფრო მასარებს ის ფაქტი, რომ ასეთი კომპლექსური მრავალპროფილური კარდიოლოგიური ცენტრი – სადაც ერთად არის თავმოყრილი – კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, კარდიო-ქირურგია და გულსისხლძარღვთა ქირურგია, ერთ-ერთი ნამყვანი კლინიკა საქართველოში. კლინიკაში მომუშავე მაღალი რანგის სხვა სპეციალისტებთან ერთად „ჰელსიკორის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია გამოჩენილი კარდიოლოგი ნოდარ ეშხვარი, ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ „ჰელსიკორი“ ასევე საუკეთესო ცენტრი გახდება თელის რეგიონში. წარმატებას ვუსურვებ პროფესიონალთა გუნდს! – გულწრფელად ულოცავს კოლეგებს ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე.

რაც შეეხება ფასებს: „ჰელსიკორი“ ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში, ანუ სახელმწიფო ფარავს ყველა იმ ოპერაციას (70-დან 90 პროცენტამდე), რომელიც ჩა-



მორიბი კონსილიუმი: ირაკლი გოგობიძე, ირაკლი გოგობიძე, ლევან ქარაზანიშვილი, ნოდარ ეშხვარი

მოთვლილია ჯანდაცვის სამინისტროს ნუსხაში. „რაც შეეხება მინინგვაზიურ ოპერაციას, შესაძლებელია ამ თანხას 1000 ლარამდე დანამატი დასჭირდეს, რადგანაც ლაპარაკია უახლეს ტექნოლოგიაზე, ამიტომ ოპერაციის თვითღირებულება ყველგან გაცილებით ძვირი ჯდება, ჩვენთან კი მინიმალური დანამატი იქნება“, – გვისხნის კლინიკის სამედიცინო დირექტორი ირაკლი გოგობიძე.

სარისნი, სანდოშა, პროფესიონალიზმი, პაციენტბინ-სადმი გამორჩეული დამოკიდებულება, ყველგან და ყველგან თანამედროვეობა და სიახლე – ეს ის კომპონენტებია, რაც თვალებს სვამდა „ჰელსიკორში“ შემოსულ ადამიანებს.

კლინიკის მისაღებად და დერეფანში კლასიკური მუსიკის სასიამოვნო ჰანგები ისმის და სულაც არ გგონია, რომ აქ შეიძლება ვიღაცას გული ძალიან სტკიოდეს. თითქოს, ერთი შეხედვით ასეც არის, „ჰელსიკორში“ უკვე 8 ოპერაცია გაკეთდა და ყველა პაციენტის სახეზე კეთილგანწყობა იკითხება. ყველას აქვს იმედი – რომ გადარჩა და გამოჯანმრთელდა. ამ იმედს კი ახალი კლინიკა „ჰელსიკორი“ აღვივებს და სინამდვილედ აქცევს!!!

თბა მონია, სპარტაკ ძოგუალია. ჯემალ პასრაძის ფოტო



შთაბერა ქარმა და იმღერა ბატარა ქალმა...

მამა რა, რომ მაშინ დაბადებულნი არ ვიყავი... დარწმუნებულნი ვარ ზუსტად ასე იქნებოდა:

20 წლის ფიქრის, სევდიანი და პოეზიის ნიჭით გულანთებული გოგონა ჩამოძვარდა გურული კრიმინალით ახატულ-ჩახატული ხედიანის მამაბაბისეული სახლის აივანზე, სულში მინდვრის ყვავილები ჩაუბლუჯავს და თვალზე უმანკო ცრემლი აკიაფებია... გულში კი ღაღო ასათიანის სიტყვებს იმეორებს: „საქართველოს მივუბრუნე ვაჭარისა ზენამ, სიყვარულით ლექსის და ღმერთების ენა“

1945 წელია. ორიოდე წლის წინათ ქალქისგან და პოეზიის ხანძრისგან ჩაფრთხილი ღაღო ეცოდება ძალიან. განსაკუთრებით მოსწონს მისი ჯავარიანი სიტყვა, ლაზარეს ენა „შემ-

კული და კურთხეული“... „სადმე, ახლო, მზე კვლავ გაშლის აკაციებს და ყვავილებს მათ გულ-მკერდზე დაფანტულნი, მოვლენ შერთან, ნანას გეტყვის ნაკადული, სასაფლაო ქვეს კალითაში დაგაძინებს... მე ასე მწამს, — ერთი ნორჩი ნაძვის ძირას, ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგვიძინა... ჩაგვიძინა სიყვარულით ანაქროლებს... არა, ღაღო, აღარ მოგწყვეტ ყაყაჩოებს... სიკვდილი კი არ მოსულა მგონის კართან, ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო... ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა რათა, შენს სევდიან „მამულ სამარს“ ეამბოროს“...

შმაგი ღაღო ასათიანის ლექსი მოსწონს 20 წლის ამორძალ ანას, თვითონაც ბობოქარი სული აქვს, ომი ახალი დამთავრებულია, იმის მიუხედავად, რომ გურიაშიც (როგორც მიუღ საქართველოში), თითქმის ყოველ სასლზე შავი ნაჭერია გაკრული (დაიღუპა 300.000-მდე ქართველი), საბოლოო გამარჯვების სიხარული ობლის ცრემლივით ნადიდა და რწმენისმოგვრელი: „ეს სიხარულის ცრემლებია, როდეს ვტირივარ? ქარი ჩამბერავს, ავმღერდები, მე ხომ სტყვი ვარ, ხმით საამურიტ მყვრობი გულთა ვუმ-

ღერი ველებს... ატირებული მყვრობელი ვარ შენი გულისაც... მხოლოდ შენს გულში მიბოვნი ვანი სულისა... მზე ჩამურჩულებს ღელაინის ტყვეში შობილსა, იმღერეო, ბატარა ქალმა... შთაბერე ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძობისა“...

ანა კალანდაძის გრძობის ძალა, თბილისის დედაუნივერსიტეტის თანაკურსულებმა და შერაღთა კავშირის მოძრაობის დარბაზში ვერდატყულმა ქართულმა პოეტურმა სამყარომ 1946 წელს იხილეს, როცა სასკოლო რეგულში ჩაქერილი ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსი მოისმინეს.

პირველი ლექსი წაიკითხა: „როცა ნამიან ველზე გავივლი, ნამი ბაღლივით მართობს, მახარებს, ქარო, მოიტა ატმის ყვავილი, ქარო, ფოთლიც შემომბაყარე... და როგორც გიფი, ო,

როგორც გიფი, თმააწეწილი მოლი ხარხარებს, სეთ სამკაული მოისწეს შიშით და ხელუკულმა შემომბაყარეს... და მეც გავიფი... და, მე კი არა, გული ხარხარებს, გული ხარხარებს... და შენ ქუნაში რომ გაიარო, ფოთლები წაღმა შემომბაყარე...“

მორცხვი და სიტყვაგანი (ლექსის მსატყურელად კითხვაც არ ესერსებოდა...) ანა კალანდაძე მქუნარე ტაშისგან ლამის სანთელივით დადნა. თანაკურსულები ესევინდნენ, კონცინდნენ და აგულიანებდნენ — ნუ გერიდება, კიდევ წაიკითხო... „აკაციის ტყვერი, წნელის სუსტი ღობე ქედმოსდელი ქვევრი, ღვინიანი კობე... აქ, მზით დამწვარ ხელში, ღვინიანი ჭიჭი. იქ — ცარიელ ქვევრში დამწვრებული ჭინკა. პაპის მონაცემი, მარად საოცნებო, კარმიდამო ჩემი დამილოცეო, ძმებო! აკაციის ტყვერი, წნელის სუსტი ღობე, ღვინიანი ქვევრი, ღვინიანი კობე“...

ანამ გაბედა და... ომარ საიამისადმი მიძღვნილი ლექსი-შედევი „ამ სურში სამამ“ წაიკითხა.

შერაღთა სახლის მაშინდელ გენიოს ქირისუფალი — კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლა ლეონიძეს, ირაკლი აბაშიძეს, დემნა შენგელიას, გეორგი ქიქოძეს, შალვა ღაღიას, აკაკი გაწყურელიას, მურმან ლებანიძეს და ქართული სიტყვის სწვა დიდოსტატებს ერთხმად აღმოსდათ: ქართულ პოეზიას ახალი ვარსკვლავი მოეგლინათ!

მერე ანამ პატრიოტული ლექსები წაიკითხა სამშობლოზე, სტალინზე, ქართველ ჯარისკაცებზე... ჩვენი გაზიანის დღევანდელ ნომერში საგანგებოდ გთავაზობთ ქართული პოეზიის ღელაინის ანა კალანდაძის რამდენიმე პატრიოტული ლექსს, დასტურად იმისა, თუ როგორი საღმრთო-საღმრთოდ გასაგონი ღამაში სიტყვა შეიძლება წარმოსდინდეს 20 წლის ყმაწვილ ქალს. ჭკუა თავშია და არა ხანშია, უთქვამს ქართველ კაცს. 20 წლის ანა ისეთივე ხასხასა ფერებით მოგარაყებული ლექსების ავტორი იყო, როგორც სამოცი წლისა. ბოლო ხანს გამოქვეყნებული პროზაული დღიურები და ჩანაწერები ხომ (გოგლა ლეონიძის „ნატურის სისა“ არ იყოს) ანა კალანდაძის დიდი შემოქმედების მშვენიერად იქცა.

რატომ გაბედა ანა კალანდაძე და დღეს ასეთი თამაში სიტყვის თქმა?

წინ მიღვეს 1953 წელს გამოცემული, ანა კალანდაძის ლექსების ერთ-ერთი პირველი კრებული, რომელშიც ყველა შედევი იმ ფორმით არის დაბეჭდილი, როგორც ყმაწვილმა ანამ შექმნა. მომდევნო გამოცემებში ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია, ზოგიერთი ლექსი კი „ცამ ჩაყლაბა“.

დღეს 90 წლის ანა, მთავრის და უკვდავების მარადიული ბინადარი, 20 წლის გადასახედიან მოგვეყვრება, საღმრთო ღმერთს წაიკითხავთ და ამ სახალწლოდ გულს გაგისხარებთ.

საპრტაპ ძოვულია

სამართველო ლაბაზო

ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს ვიამბობს ჭადარი... ძეწნამ ალენსით ამავსო... თაღნი ელავენ ცათანი... საქართველო ლამაზო, „სხვა საქართველო სად არი?“ ცა ვანსკვლავებით ინთება, ცა არცა რისი სადარი, მთვარე რომ ამბრწყინდება, გული გაფრენდა მზად არი. დიდება, შენი დიდება, „სხვა საქართველო სად არი?“ მინდვრები, ქართლის მინდვრები, ქედები მხარგაშლილები. მთაში ტყე დანაბინდები. ტყეში ქორბუდა იმებში. მარად შრიალემს ჭადარი, მზეს უმღერის ჩიტები: მხარვე მოსილო დიდებით, „სხვა საქართველო, სად არი?“ ლურჯი ბალახი მხარამდი, მწყერი გოგმანებს ბალახში. თეთრულზე თოვლი მარადი, ვენახზე მზე და მადახში... სხვა საქართველო ვინ ნახა? „სხვა საქართველო სად არი?“ გორი — სინათლის სამშობლო და სიხარულის წიაღი... დაუღვევლი სიმღერა... დაუღვევლი ლიახვი... გორი — სინათლის სამშობლო. მზის და სიცოცხლის წიაღი. მთებიდან მწყემსის ძახილი. ხევი იტაცებს ძახილსა... ნისლეში „მეფის კალოზე“, ქართაგან აშლა ჯანდისა... ხმალი და მკლავი ნაქები დიდი სტალინის ხალხისა. იორი სამგორს შესული... ივრის ტალღების ხმაური. სამგორს დასახლდა ხევსური მინდია ჭინჭარული...

სამგორს მოსული ყაყაჩო... ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი... დიდება უთქვამთ ხევსურთა, იორს — სამგორის სიუხვე... მთვარე იორში შეცურდა, გამოქცევია ჭიუხვებს... დიდება უთქვამთ ხევსურთა, იორს — სამგორის სიუხვე.

როს ვანსკვლავები ხმაურით აინთებინ ცათანი, გულდეს მოაწყდება მღვანე. მეშვიდე ცაზე ატანილს. ჯიხეს მოკლავს გაფრინდაული. გორში იტირებს ატამი. ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი. „სხვა საქართველო სად არი?“ აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“ და თუნდაც ვადმოსულიყო მტერი შმაგი და ვერანი. მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა, სით გაუშვებდა, ლელაი? აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“, მთათ ორზის ფრთები მოისხეს. ცაში ასულა ძენაი, დაბლა შრიალემს მოლისებრ ყანაი გაუყვლავი, ფიქრს დაუღლია ონისე, მახტრიონს მიღის ლელაი... მთათ ორზის ფრთები მოისხეს ცაში ასულა ძენაი. ორი არავგის სიმღერა — მთიულეთ-გუდამაყრისა... თრუსოს მზიანი ხეობა, კლდეებზე აშლა ჯანდისა... ხმალი და მკლავი ნაქები დიდი სტალინის ხალხისა... გორი სიმღერად ქცეული. მზის და სინათლის წიაღი... დაუღვევლი სიმღერა... დაუღვევლი ლიახვი... გორი — მსოფლიოს იმედი, მზის და სინათლის წიაღი... ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს ვიამბობს ჭადარი... ძეწნამ ალენსით ამავსო... თაღნი ელავენ ცათანი... საქართველო ლამაზო, „სხვა საქართველო სად არი?“

1945-1953

ამ სურით სპამენ

„ომარ ხაიმს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხევი ყოველ წელწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო, მე ვინახულე ხაიმის სამარე ნიშაბურში. იგი მართლაც ფოთლებითა და ბალახით იყო დაფარული. მაშინ მომავკონდა ხაიმის სიტყვები და ტირილი დაიწყო“.

608ა80

თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს, ვვავდე ყაყაჩოს, სათის ხალიანს. ძლივს მიზარბაცებს მთვრალი ყაყაჩო, ომარ ხაიამ! გული, თელილი მედის ფლოქვებით, მოკვდა, დადუმდა, დიდი ხანია, სულს მინც მერჩა ღვინო ღოქებით, ომარ ხაიამ! სურები შექმნეს შენი ტალახით, ღვინო მოუღხენს ყელმობატულებს, შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი, ფეხს რომ უკოცნის ღამამ ხათუნებს. გულზე გაღვრიან ღვინოს ლოთები, ხეებს შეარხევს ქარი აყვია; ხეებიც სეამენ ღვინოს ფოთლებით და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან. ლოყაწითელი ვარდის ყვავილი, ფხიზლობს? ჩურჩულებს, როგორც მისანი. ვარდთ რომ დათოვს მიწა ყამირი, ბალღებრ ტირილდა თურმე ნიშამი. ეს სურა შექმნეს შენი ტალახით. ქართულ მარანში დანახანია, ყელმოქარგული ლერწმის ტოტებით. და რა ხანია ამ სურით სეამენ ღვინოს ლოთები, ომარ ხაიამ.

1946

პარში ბამო, ჭია-ჭია მარია

მზე იცინის, ვარდფურცლომის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელემის. კარში გამო, ჭია-ჭია მარია, არას გავნებ, მხოლოდ მოგვეფერები. მზე იცინის, ვარდფურცლომის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელემის.

უნისლოა, გეცას გაუდარია, ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში, გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, მარამაროსი დაუღვევს ციციმვილს, უნისლოა, გეცას გაუდარია. ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში.


შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია, ჩვენი მოსრვა, აბა, როგორ ინდომეს?! გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, ვუგალომთო სამშობლოს მინდორ-ველს... შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,

ჩვენი მოსრვა ანვი როგორ ინდომეს?! ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია. ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია, დინჯად მისდევს ვვალში ძველი გუთანი. ვერ წაღებს ხორბალს სულთა მხუთავი. ვრცულ მინდორებს ტრაქტორები ფარავენ... მალ-მოსტენებში თოხნიან და მარავენ. ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია, ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია.

ჩემი გული ვარდფურცლომის დარია, შრიალემენ, გუგუნემენ თელემი: ჩვენთან მუდამ გათენების დარია, კობას ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების, კარში გამო, ჭია-ჭია მარია, მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელემი.

ჩემი გული ვარდფურცლომის დარია, გუ-გუ-გუ-გუ... გუგუნემენ თელემი. მზე დაცხრა, ყვავილებს ქარია, ჩურჩულემენ მოლზე ნაირფერები. მომახურე, მცევა, ჭია-მარია, გამიცინე, თუ არ მომეფერები. მზე დაცხრა, ყვავილებს ქარია, ჩურჩულემენ მოლზე ნაირფერები.

1946



სახელმწიფო გამომცემლობა
19 ••• თბილისი ••• 53

გენერალური მდივნის საიდუმლო გამგზავრება ყირიმში: სტალინს ჩეკისტები ავტომობილით ისაუბრეს

დავით სტალინის როლის შესახებ ისტორიაში არ ცხრება. ვინ არის ის? სამშობლოს გადამრჩენელი თუ სისხლისმსმელი ტირანი? მის დროს სსრკ კავშირი გახდა ნამდვილი ზესახელმწიფო და მოიპოვა გამარჯვება დიდ სამამულო ომში. და ამავე დროს ქვეყანამ გადაიტანა კოლექტივიზაციის ძალადობა, შიმშილი, „დიდი ტერორი“...

„ხალხთა ბელადის“ პორტრეტს დაეუბნებოდა კიდევ რამდენიმე შტრიხს – ეს მასალაზე ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა პრესაში.

უნიკალისათვის - სამი მატარებელი

სტალინს დიდად არ უყვარდა ყირიმში ყოფნა, თუმცა, მას იქ რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდა. მაგრამ 1947 წელს „ხალხთა ბელადს“ გაუჩნდა აზრი გამგზავრებულიყო ყირიმში, თანაც ავტომობილით, და ამავე დროს დაეთვალა რეზიდენცია ომის ნგრევის შემდეგ როგორ აღდგება ქვეყანა.

ავტოსტოს დასანყისში სტალინმა იდეის შესახებ აცნობა თავის მთავარ დამცველს ნიკოლაი ვლასიკს.

„მიმჩნედა, რომ ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობა ავტომობილით მისთვის მომქანცველი იქნებოდა, - წერდა გენერალი თავის დღიურში, - ვცდილობდი დამერწმუნებინა იგი - უარი ეთქვა ასეთ მოგზაურობაზე, მაგრამ მას ჩემი მოსმენაც არ უნდოდა“.

მცველებმა და ექიმებმა იცოდნენ, რომ თითქმის 70 წელს მიღწეული ადამიანისთვის მოგზაურობა გრუნტიან გზებზე 1500 კილომეტრის მანძილზე უბრალო როდია. მაგრამ გენერალური მდივნის ზემოქმედებით ბაზე ეჭვის შეტანა არ იყო მიღებული, და ვლასიკმა გასცა ბრძანება მომზადებულიყვნენ წასასვლელად.

იური სოლოვიოვი, რომელიც სტალინის დაცვაში მუშაობდა, იხსენებდა:

„ოფიცრები სტაროსტინი და გურუნდაევი ორ ოპერატიულ მანქანაზე გაემგზავრნენ მოსკოვიდან სახრეთისკენ სტავროპოლამდე და უკან. ისინი გაგზავნეს, რათა გასცნობოდნენ მოგზაურობის მარშრუტს“. მგზავრობამ ნორმალურად ჩაიარა: სამ დღე-ღამეზე ოდნავ მეტი დრო იქით და უკან.

მართალია, თავად იდეა ყირიმში გამგზავრების შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, განხორციელდა ყურადღების სხვა რამეზე გადატანის ღონისძიებანი. „ქალოვანებს“ აცნობეს, რომ იოსებ ბესარიონის ძე წავა რკინიგზით. ამავე დროს, სხვადასხვა დროს იქ სამი მატარებელი გაიგზავნა. და ყველა უსტალინოდ.

მუშაი პრემიის კონსილენსი: „რა ბედნიერება!“

ბელადის კორტეჟი ოთხი მანქანისგან შედგებოდა: ძირითადი (დაჯავშნილი „პაკარდ-180“), სარეზერვო (დაჯავშნილი „ზის-110“-ს) და დაცვის ორი ავტომობილი.

ნიკოლაი ვლასიკის დღიურში, რომელიც თან ახლდა ბელადს მოგზაურობაში, არის საინტერესო წერილობანი, თანაც ყველაზე საინტერესოა - სტალინის ხალხთან დაუგეგმავი ურთიერთობის შემთხვევა.

„გავემგზავრეთ, მგონი, 16 ავტოსტოს, - წერდა ვლასიკი. - მივემგზავრებოდით ხარკოვამდე (სინამდვილეში მოგზაურობა შეწყდა კურსკში - ავტ.) სამი გაჩერებით - ტულის ოლქის შჩოკინოში, ორიოლში და კურსკში. გაჩერებებზე ყველაფერი მეტად წყნარად იყო, უბრალოდ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, რაც ამხ.სტალინის ძალიან მოსწონდა.“

ვჭამდით ჩვენ ყველანი ამხ.სტალინთან ერთად. შჩოკინოშიც, კურსკშიც ამხ.სტალინი სეირნობდა ქალაქში. გზაში ტულასა და

ორიოლს შორის ჩვენ „პაკარდზე“ საბურავები გადაგვიხურდა. სტალინმა გვიბრძანა გაგვეჩერებინა მანქანა და გვითხრა, რომ ცოტას ფეხით გაივილიდა. მძლოლი შეცვლის საბურავებს და შემდეგ დაგვეწევა“.

„საბურავების გადახურება“ მოხდა გასაგები მიზეზებით. დაჯავშნილი „პაკარდი“, რომელიც თითქმის ხუთ ტონას იწონდა, არ იყო მოწყობილი მგზავრობისთვის დიდ მანძილზე და თანაც გრუნტიან გზაზე. და მას შემდეგ, რაც გავიარეთ ასი კილომეტრი და დამთავრდა ასფალტი, ვეღარ გაუძლო.

კვლავ მივმართეთ ბელადის მთავარი დამცველის მოგონებებს: „გზატყვევებზე რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ სამი სატვირთო მანქანა დაინახეთ, რომლებიც გზატყვევების გვერდით იდგნენ და ერთ-ერთ მათგანზე მძლოლი ასევე ცვლიდა საბურავს. როდესაც სტალინი დაინახეს, მუშები დაიბნენ. როდესაც ჩვენ ჩავუარეთ, ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, ამბობდნენ: „რა ბედნიერებაა, რა ახლოს ვხედავთ სტალინს“.

„კიდევ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შევხვდით 11-12 წლის პატარა ბიჭს. ამხ. სტალინი გაჩერდა, გაუწოდა მას ხელი და თქვა: „აბა, მოდი გავიცნოთ ერთმანეთი. რა გქვია, სად მიდიხარ?“ ბიჭმა თქვა, რომ მას ვოვა ჰქვია, მიდის სოფელში, სადაც ძროხებს მწყემსავს,



სტალინს აინტერესებდა საზოგადოებრივი ავტომობილით, მაგრამ 1947 წლამდე მგზავრობდა მხოლოდ უსსრული მარკის მანქანებით. სურათზე: გენერალური მდივანი ათავალიერებს ახალ ავტომობილს „ზის-101“. 1936 წლის აპრილი.

თანამშრომლები სამოქალაქო ტანსაცმელში მოგზაურობის დროს: ასეთ მოგზაურობებში დაცვის პირადი შემადგენლობის თითქმის ორი მესამედი მონაწილეობდა... თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, რომლებსაც ფორმები გვეცვა, დანარჩენი მცველები დადიოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში, ავტომობილებს კი ატარებდნენ ვიოლინის ფუტლარებში. სასაცილო საყურებელი იყო“. სხვათა შორის, ფუტლარებში ჰქონდათ არა მძიმე „პუპუშები“, არამედ კომპაქტური პისტოლეტი - სუდაევის ტყვიამფრქვევი.

კურსკში სტალინი შეჩერდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პატარა სახლში. თავად პირველი მდივანი ოჯახთან ერთად დროებით სადღაც გაასახლეს.

ნიკოლაი ვლასიკი იგონებდა: „ბინა იყო ძალიან სუფთა და წყნარი, თაროზე დივნის თავზე ბევრი ფაიფურის სათამაშო იყო, სარკის ქვეშ კი ეწყო ბევრი ფლკონი სუნამოებით და ცარიელიც. ამხ.სტალინმა ყურადღებით დაათვალიერა მთელი ბინა, შეეხო სათამაშოებსაც, რომლებიც თაროზე ეწყო, ხოლო, როდესაც ჩვენ დასვენების შემდეგ შევიკრიბეთ წასასვლელად, შემეკითხა, ჩვენ რაღას დავუტოვებთ დიასახლისის სამახსოვროდ, არ

გვაქვს ოდეკოლონი. საბედნიეროდ, ოდეკოლონი აღმოჩნდა, და თანაც საკმაოდ ლამაზ ფლკონში. ამხ.სტალინმა თავად წაიღო იგი საძინებელში, სადაც ისვენებდა და დალო სარკის წინ.

აპრილი მონაყო ტარირისტა ქალაქი!..

შირიში სტალინის კორტეჟს არასასიამოვნო სიურპრიზი ელოდებოდა. იური სოლოვიოვი წერდა: „როდესაც ი.ბ.სტალინი დაჯავშნილი „პაკარდით“ მიდიოდა სიმფეროპოლ-იალტის მთის ტრასაზე, უღელტეხილის რაიონში „ყრუ“ მოსახვევიდან ადგილობრივი თავზხელადებული მძლოლი ტრანსპორტიანი სატვირთო ავტომანქანით დაჯავშნა ჩვენს ავტომანქანას. წვიმიანი ამინდი იყო, ცრიდა... როდესაც რეაგირებას ვაკეთებდით სატვირთო მანქანის მოულოდნელ გამოჩენაზე მოსახვევიდან ძირითადი მანქანის შესახვევდრად, ჩვენი დაცვის მანქანა ვინრო გზაზე გაიჭრა წინ, გადააუღო ბაზა, თავის განივით, ამ სატვირთო ტონანახევრიან მანქანას. სატვირთო მანქანის დარტყმისგან დაცვის მანქანის უკანა გვერდით კარს მოძვრა ანჯამა. ძველი ტონანახევრიანი მანქანა საფუძვლიანად დაზიანდა. საბედნიეროდ, ამ ავარიის დროს ადამიანები

არ დაზარალებულან. ყველა დამსრე გამოცხებული იყო, როდესაც სატვირთო მანქანიდან გამოძვრა დაახლოებით 45 წლის ქალი-მძლოლი. თავისი მანქანიდან გადმოვიდა ი.ბ.სტალინიც. მძლოლი ქალი ჯერ ისევ შოკში იყო ავარიის გამო, ვერ გარკვეულიყო, თუ რა მოხდა, თავისი მიაშიტობითა და ქალური პირდაპირობით დაიწყო საუბარი ი.ბ.სტალინთან, შეეკითხა მას: „როგორღა წახვალთ აქედან?“ ი.ბ.სტალინიმ დაინახა ქალის საბრალო სახე და საფუძვლიანად დაზიანებული სატვირთო მანქანა, მიხვდა, რომ ინიციდენტი მოხდა წვიმის გამო. პასუხად ქალს მან უთხრა: „ჩვენ კი წავალთ, მაგრამ თქვენ როგორღა წახვალთ?“

სტალინის კორტეჟში იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვიქტორ აბაკუმოვიც, რომელსაც ბელადმა სთხოვა, არ დაესაჯა მანდილოსანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო. თუმცა, მოგვიანებით იგი დააპატიმრეს და ცდილობდნენ კიდევ დაედოთ მისთვის ბრალი ტერორისტულ აქტში გენერალური მდივნის წინააღმდეგ. მაგრამ მკაცრ დასჯას იგი მაინც გადაურჩა.

დამსვენება - ბოსტნები

როდესაც გაიარეს დანგრეულ გრუნტიან გზაზე, სტალინი შემფოთებული იყო მოსკოვირის მინისტრის მშენებლობით. ვლასიკმა მოიყვანა ბელადის ზოგიერთი მითითება: „ამხ.სტალინმა შენიშნა, რომ გზა მოსკოვიდან უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება საუკეთესო, დაიყოს მონაკვეთებად, დააყენოს დაცვა, აუშენონ მათ პატარა ქოხები, მისცენ მინის ნაკვეთები, რათა ჰქონოდათ ყველაფერი აუცილებელი, ისინი კარგად იზრომებენ და კარგად მოუვლიან გზასაც. მოეწყოს ბუნინ-გასამართი კოლონები, ვინაიდან მანქანები იქნება ბევრი, ყველა მხოლოდ მანქანებით იმგზავრებს არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფელშიც“.

მკაცრად თუ ვილაპარაკებთ, სტალინის იდეა „დამცველების“, ქოხებისა და მინის ნაკვეთების შესახებ ერთგვარად შორდებოდა სოციალიზმის პრინციპებს და, ბოლოს და ბოლოს, რეალიზებული არ იქნა. სამაგიეროდ, ამ მოგზაურობის შემდეგ თავად გზა გახდა დამკვერელი მშენებლობა. ათობით ათასი პატიმარი, როგორც საბჭოთა მოქალაქე, ისე გერმანელი სამხედრო ტყვეები, აგებდნენ „ყირიმის დიდ გზას“. შემდეგ მშენებლობის განვარგულებაში გადასცეს დაშლილი სამხედრო ნაწილი - კიდევ 120 ათასი კაცი. იმისთვის, რომ ასფალტირებულიყო გზა, რომლის სიგრძე 1395 კილომეტრია მოსკოვიდან სიმფეროპოლამდე, საჭირო გახდა ოთხ წელზე ნაკლები. იგი სპეცპოლიტაციოდ გადასცეს 1950 წლის 1 აგვისტოს. თუმცა, ბუნინის კოლონები ტრასაზე გაჩნდა მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოს...
ალექსეი აოგოხოლოვი

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



სწავლობს მეოთხე კლასში ოთხებზე და ხუთებზე. ამ დროს მოვიდა ჩვენი მანქანა, დავემშვიდობეთ ვოვას და გავაგრძელეთ ჩვენი მოგზაურობა“.

„პაკარდს“ გარბენის გაგრძელება აღარ შეეძლო, და სტალინი „ზისზე“ გადაჯდა.

ოჯაქოლონი სხვისი სოლისთვის

ტულის ოლქში იძულებითი გაჩერების შემდეგ სტალინი თავგადასავლების გარეშე ჩავიდა ორიოლამდე. შთაბეჭდილება დანგრეული ქალაქისგან საკმაოდ მძიმე იყო. „ის იყო მეტად გაღიზიანებული, ნერვიულობდა, - იგონებდნენ სტალინის დამცველები, - როდესაც უყურებდა ომით დანგრეულ ქალაქებს, სოფლებს და ადამიანებს, რომლებიც მიწურებში ცხოვრობდნენ“.

კურსკში, სადაც გათვალისწინებული იყო გენერალისიმუსისთვის ღამის გათევვა, მისი ჩამოსვლის შესახებ იცოდა მხოლოდ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პაველ დორონინმა. არც ადგილობრივი მილიცია, არც სხვა სტრუქტურები საიდუმლოების დაცვის მიზნით არ იყვნენ საქმის კურსში საპატიო სტუმრის შესახებ. სტალინის ერთ-ერთი დაცვა ვლადიმერ ვასილიევი გვიამბობდა, თუ როგორ გამოიყურებოდნენ

წინასახალწლო ფიქრები

სიამაჟე გპარისა და გენის გაგო



განაგრძელება... რა განაგრძელება... სულ თავდაყირა და აყენეს მეცნიერთა დაკვირვება თუ მტკიცება — გენი-ალური ნინაპრის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში „ბუნება ისვენებს“, ანუ მშობლის თუ ბებია-ბაბუის სი-დიადე შვილებს, შვილიშვილებს არ გადაეცემათ, ისინი „ჩვეულებრივი“ მოქალაქეები რჩებიან... წერას უკაცრავად: ბრწყინვალე მოცეკვავეების, სულგანათ-ლებული თენგიზ სუხიშვილისა და ინგა თევზაძის შვი-ლებმა და ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის შვილიშვილებმა ილიკო და ნინო სუხიშვილებმა, ნახეთ, რა საკადრისად განაგრძეს სახელოვან ნინა-პართა მიერ დაწყებული და უკვე უდიდეს სიმაღლე-ზე აყვანილი უაღრესად ეროვნული საქმე...

ამ საქმეს ახალ-ახალი წახნაგები შემატეს ილიკომ და ნინომ, თუმცა, კარგად გვახსოვს, თავიდან ბევრს არ მოეწონა ეს ნოვატორობა — ქართული საცეკვაო ფოლკლორის, ბებია-ბაბუის „დანატოვარის“ „გადა-სინჯვა“.

ამას არც გაბედავდნენ, მაგრამ ახალგაზრდები იყ-ვნენ (არიან) და დიახაც სურდათ, ოთარ ჭილაძისა არ იყოს, „რალაც ახალი, სულმთლად ახალი“.

და ნინაპართაგან გადმოსული ნიჭითა და უნარით, და დიდი შრომამომინებით, და ნოვატორობის და-უცხრომელი წადილით, ანსამბლისაგან დამოუკიდებ-ლად, მაინც შექმნეს, „რალაც ახალი, სულმთლად ახალი“, რომელიც დღეს უკვე ძალიან მოგვწონს (მა-გალითად, „რამიშვილები“). არაჩვეულებრივი ყოფი-ლა ის საცეკვაო-მუსიკალური სანახაობაც, რომლის პრემიერაზე გასულ კვირას რამდენჯერმე მიიწვია ილიკომ ჩვენი საზოგადოებრიობა. ტელეეკრანზე ილიკოს ნახვამ გამახსენა ჩემი სტუმრობა ბარნოვის ქუჩაზე, „სუხიშვილების“ ბინაში, რათა გაზეთ „კო-

მუნისტს“ ილიკო სუხიშვილისთვის დაბადების 75 წლისთავი მიელოცა. შემიპატიჟა სახლში ქალბატონ-მა ნინომ, მალე ბატონი ილიკოც მეორე ოთახიდან გა-მოვიდა. ჩვენ საუბარს შევწყვეით, პატარა ილიკო კი მულტფილმებით ერთობოდა, თან, შიგადაშიგ, გა-მოგვხედავდა ხოლმე.

საუბარი შედგოგებით დაიწყო ბატონმა ილიკომ — ქართული ცეკვის ამგდარი მოღვაწე ალექსი ალექ-სიძე გაიხსენა, რომელსაც 1924-26 წლებში თბილის-ში ქართული ცეკვის სკოლა ჰქონია გახსნილი.

— ორი წელი ვიყავი მასთან, შემდეგ, ორი წელიც ასისტენტად ამიყვანა...

— ერთი ის მოყვები, „კალოშები“ როგორ გაყიდე, „კა-ლოშები“, — ეშმაკური ღიმილით, ამბობს ქალბატო-ნი ნინო.

— ეს ფოთში იყო. რატომღაც იქ ჩავედი ბედის სა-ძებრად. რამდენიმე დღე დავყავი, მუშათა ცენტრალუ-რი კლუბის დარაჯთან მეძინა, წულა-მესტებზე „ოზურ-გეთის კალოშები“ მეცვა.

— რატომ ერქვა ოზურგეთის? — ვეკითხები.

— წვეტიან კალოშებს ეძახდნენ, ოზურგეთისას... არ ვიცი, რატომ... ჰოდა, უკვე ფულიც აღარა მაქვს, ორი დღის მშვიერი ვარ, წავიძვრე ეს ჩემი „კალოშები“ და გავყიდე ფოთის ბაზარზე, დავრჩი მარტის თოვლ-ჭყაპში წულა-მესტებით. შევედი ჩაიხანაში და ვზი-ვარ მარტო. ამ დროს ფოთელები შემოვიდნენ, ახალ-გაზრდები. ასე რომ დამინახეს, დაინტერესდნენ. მეც ვუთხარი, რომ მოცეკვავე ვიყავი, თბილისიდან. — აბა, ხვალ კლუბში ქართული ცეკვების კონკურსი იმარ-თება და სცადე ბედით. მართლაც გავედი, ვიცეკვე „შა-მილი“, ახლა რომ დაღესტნურს ეძახიან, ვიცეკვე და პირველი პრიზიც მერგო. მეორე დღეს გამომიძახეს ქალაქის ხელმძღვანელებმა და თვითონ შემომთავა-ზეს ფოთში მუშაობა და გავხსენი კიდევ ქართული ცეკვების პირველი სტუდია... ოციანი წლების ბოლოს ოპერის თეატრში მივედი, იქ გავიცანი კიდევ ეს ჩე-მი ქალბატონი...ჯერ სოლო პარტიებს არ ვცეკვავდი. ერთხელაც „დაისში“ „ქართულის“ შემსრულებელი ვა-ჟი ავად შეიქნა და მე მომანდეს ცეკვა. გამოვედი კი-დეც თამარ ჭაბუკიანთან ერთად... შემდეგ უკვე მე ვას-რულებდი სოლო პარტიებს. იმ დროს რატომღაც „ქარ-თულს“ ყველა „ლეკურს“ ეძახდა. უფრო გვიან, როდე-საც ანსამბლი შევქმენით, ჩვენ დავარქვით „ქართუ-ლი“.

— ლონდონის ამბები არ დაგავინყდეს, ილიკო! — ეშ-ველებს ქალბატონი ნინო.

— ლონდონში 1935 წელს გაიმართა ხალხური ცეკ-ვების მსოფლიო კონკურსი-ფესტივალი, სადაც ოქროს მედალი მივიღე, რომელიც თვითონ ინგლისის დედო-



ვალმა გადმომცა. წარმოიდგინეთ, კოსტიუმებისთვი-საც კი პირველი პრემია მივიღეთ, ქართულმა ჩოხამ ყველას აჯობა. ამდენი ანსამბლი რომ ვნახე, სწორედ მასინ დამებადა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბ-ლის შექმნის იდეა... და, დიდი წვალებით, შევქმენით, კიდევ... კოსტიუმები, დღეს უკვე ჩვენმა სახელოვან-მა მხატვარმა, ჩვენმა სოლიკომ, სოლომონ ვირსალაძემ დაგვიხატა...

— ჰოდა, წავიდა და წავიდა, არა?!

— ჰო, ცვდილობდით...

— და, მიაღწიეთ მსოფლიო სახელს, ინგლისელი იმ-პრესარიოს თქმისა არ იყოს, შექმენით ანსამბლი, რო-მელიც მხოლოდ ქება-დიდებას იმკის მსოფლიოში, — ხმაში პათეტიკა მერვეა მე...

... ვემშვიდობები მასპინძლებს, ციციქნა ილიკო ხელს მიწვეს, აბა კარგადო... და რამდენიმე წუთში უკვე ჭაფ-ჭავაძის პროსპექტზე ვარ.

ის იყო 35 წლის ნინათ, 1982 წელს... მალე, სხვათა შორის, დიდი ილიკო სუხიშვილის 105 წლისთავია!

... ყოველივე კი როგორც გითხარი, გამახსენა გა-სულ კვირას ილიკო სუხიშვილი-უმცროსის გამოსვ-ლამ ტელევიზიით, რომელსაც, გულწრფელობასთან ერთად, სახეზე უმაღ შეამჩნევდით სიამაყეს საკუთარი გვარისა და გენის გამო.

რა გასაკვირია!

ვილენ მარდალაიშვილი

სურათიზაზა: ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი, ილიკო და ნინო სუხიშვილები.

სარადაცო ფოსტიდან

როდემდე ველოდო ლამაზ პარსკლავს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი, 2014 წლის 27 ივნისს გა-მოგიგზავნეთ განცხადება, რომელშიც წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2003 წლის 20 ივნისს დაიბეჭდა ჩემი წერილი სა-თაურით, „ველოდები ლამაზ ვარსკვლავს“ შემ-დეგი შინაარსით:

თბილისის რკინიგზის ძველი ვაგზალი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემ-სახურებოდა საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობასა და მის სტუმრებს.

თბილისის რკინიგზის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქცია 1952 წელს განხორციელდა. ძველ ვაგზალს ამშვენებდა წითელი ვარ-სკვლავი, რომელიც იოსებ სტალინის მი-თითებით იყო გამოგზავნილი მოსკოვიდან.

1987 წლის ნოემბერში დასრულდა თბი-ლისის რკინიგზის სამგზავრო ვაგზლის ახალი შენობის პირველი რიგის სამუშა-ოები (არქიტექტორები: ი.ყვავლაშვილი, რ.ბაირამაშვილი, გ. შავდია, ჯ.ჯიბლაძე, მთავარი კონსტრუქტორი შ.გაზაშვილი).


თბილისის რკინიგზის ვაგზლის დღევან-დელი ნაგებობა ისე გამოიყურება, რომ მო-მავლის იმედით თითქოს რაღაცას ელო-დებო.

ჩემი ღრმა რწმენით, შენობას დიახაც უნ-და ამშვენებდეს წითელი ვარსკვლავი, რო-მელიც ღამე გაანათებს და კიდევ უფრო დაამშვენებს ვაგზლისწინა მოედანს.

ზოგიერთი ექვიანის გასაგონად აქვე ვიტყვი, რომ ვაგზლის თავზე ლამა-ზი, არქიტექტურულად კარგად მორგებული უზარმაზარი ვარსკვ-ლავი სულაც არ არის სოციალიზმის და კომუნისზმის ნოსტალგიის მანიშ-ნებელი.

ვარსკვლავი უბრალოდ ვარსკვლა-ვია — ტრადიციული და მშვენიერი. გათხოვთ, თბილისის რკინიგზის ვაგზლის შენობას თავზე დაადგათ ლამაზი წითელი ვარსკვლავი 2015 წლის 9 მაისამდე.

პატივისცემით
ნათელა დავითაშვილი.
2014 წლის 27 დეკემბერი.
თბილისი,
ნაბაღაშვილის რაიონი.



უში მთანმინდაზა

აღრმ თბილისის საჭირობოროტო საკითხებს გაზეთი „თბილისი“ აშუ-ქებდა, მაგრამ ნაციონალურმა რა ხანია გააქრეს ის თავის შენობიანად. ამი-ტომაც მოგმართავთ თქვენ, რადგან თქვენი გაზეთი მუდამ იყო ჩვენი გა-ჭირვების გამზარებელი. გაჭირვება კი დიდი გვაქვს, უბანში ელექტრო-ენერგიით მომარაგების მოწესრიგებას ვერაფრით ვერ ვეღვირებთ.

მთანმინდის შუაგულში, მთანმინდისა და ნიაღვრის ქუჩებზე დენი წამდაუნ-უმ ითიშება. თელასში როცა გინდა დარეკო, ტელეფონში ან მუსიკას გვასმენინებენ, ან „ყველა ოპერატორი დაკავებულიაო“, გვეუბნებიან. ერთადერთი, ვინც ამბავს ზოგჯერ გვაგებინებს ხოლმე დენს როდის ჩართავენ, ქალაქის დისპეტჩერები არიან, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ. ელექტროენერგიაზე ტარიფები რო-გორი დიდია, ყველამ იცის, აბა, ერთი ლარი დააკლდეს გადასახადს, უმაღ დენს გაგითიშავენ. ნუთუ თბილისელები იმის ღირსი მაინც არ უნდა გავხდეთ, რომ თელასმა პასუხი იკადროს და ის მაინც გაგ-ვაგებინოს, დენს როდის მოგვცემენ? სულაც არა ვართ პოლიტი-კურად მოტივირებულები, სხვათა შორის, მარგველაშვილის ოჯახიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, მაგრამ, რად გინდა, უბანი მაგას კი არა, მთანმინდის დეპუტატსაც დაავინყდა! ავარიულ სახლებზე რომ მივმართეთ, ასე უბრძანებია — ეგ რა ჩემი საქმეა, მე რა, პრარაბი ხომ არა ვარო! მართალია, პრარაბი არ არის, ის ხალხის მსახურია და უნდა ემსახუროს კიდევ, მამ როგორ?!

სამწუხაროდ, დეპუტატები რომ ხდებიან ზოგიერთები, რალაც ბინდი ევარებათ თვალზე, ხალხის პრობლემებს ვეღარ ხედავენ, ტვინში მხოლოდ პრემია-დანამატების მიღება უტრიალებთ. დღეს ელექტროენერგიაზე დამოკიდებულია ტელეფონიც, გათბობის სის-ტემებიც, ტელევიზია, ინტერნეტი. რამდენიმე დღის წინათ მთან-მინდის ქუჩის №11-ში ჩვენი მეზობელი პენსიონერი კაცი საათ-ნახევა-რი აყურყუტეს ლიფტში იმ სიცივეში. რა უსაშველო გასაჭირი აქვს ასეთი ჩვენს უბანს, როცა გარშემო ქუჩები გაჩახჩახებულა, ჩვენ კი სიბნელეში ვსხედვართ? იქნებ მოგვაქციონ ყურადღება, ვისაც ეს ეხება!

პატივისცემით,
ალექსანდრა კინწურაშვილი,
პორის პირადოვი.
(მთანმინდისქუჩელები)

ნავსი ბატყდა...

ნავსი ბატყდა, საქართველოს მთავრობა, როგორც იქნა, ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი წლის შემდეგ, მოულოდნელად, სანავის ბაზარზე გაჩენილი „ხანძარი“ დაინტერესდა, თანაც, ეკონომიკის ან ფინანსთა მინისტრი კი არა (ეტიკაბა, ეს სფერო მათ კომპეტენციას აღემატება), თავად მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ლარიბაშვილი. გაუგებარია, განაცხადა, მან, საერთაშორისო ბაზარზე, ნავთობპროდუქტების, კერძოდ, ბენზინის ფასი სულ უფრო და უფრო იკლებს, ჩვენთან კი მსგავსი არაფერი ხდება. რა ინვესტაციის ფასის ასეთ უსაშველო ზრდას? ამის გულდასმით შესწავლა და 10 დღეში განალიზებული მასალის ხელი-სუფლებიში წარდგენა პრემიერმა კონკურენტის სააგენტოს ხელმძღვანელობას დაავალა. ჩანს, ამ საქმეს კარგი სუნი არ უდის!

რატომ „აჩქარდა“ მთავრობა თავისი მოღვაწეობის მაინც და მაინც ორი წლის-თავზე მიეხედნა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა სანავის ბაზარზე მონოპოლისტური თარეშისთვის და არა უფრო ადრე? ყველას კარგად გვახსოვს, „ოცნების“ ლიდერები როგორი შემართებით გვპირდებოდნენ: აი, მოვალთ ხელისუფლებაში და ნახავთ, დენის, გაზის და კომუნალური გადასახადების ტარიფებთან ერთად, ხელთ სანავის განანერვებული ფასებიდან შეგრჩებათო. მოსვლით კი მოვიდნენ (ღმერთმა სკამები მშვიდობაში მოახმაროთ), მაგრამ ამ მიმართულებით ხალხის გასაჭირს სასიკეთო ბევრი არაფერი დასტყობია.

ამჯერად, კერძოდ, ლაბარაკია ნავთობპროდუქტების სფეროზე, სადაც არც სანავის ფასი შემცირებულია და არც ბაზარზე მოთამაშე კომპანიები შეცვლილან. სანავის სემენტში არსებული მოგების მაღალი მარჟის მიუხედავად, ბაზარზე არც ერთი ახალი კომპანია არ გამოჩენილა, რომელიც კონკურენტის გაუწევად მონოპოლისტებს და მოქმედ კარტელურ გარიგებებს ჩაშლიდა. აქედან გამომდინარე, არც თუ უსაფუძვლოდ, გაჩნდა ეჭვი, რომ ნაცხროვის მიერ დალაგებული კორუფციული სქემები დღესაც წარმატებულად აგრძელებენ „მოღვაწეობას“ და იმპორტირებული სანავის სემენტის ფასებიდან ამოქაჩული მილიარდების ექვემდებარებულნი „გადამისამართებს“. არის განსხვავებული აზრიც, რომ „ოცნების“ გახელისუფლების შემდეგ, „ძველებს“ წილში „ახლებიც“ ჩაუსხდნენ (!).

ხალხში გავრცელებული ამ ორჭოფული შეხედულებით „მოხერხებულად“ სარგებლობს სიბინძურესთან ყმანვილკაცი ბიდანვე, წილნაყარი სააკაშვილი და მომენტს არ უშვებს ხელიდან, „მოცნებებს“ არ ნაკბინოს: თქვენი მტკიცებით, მე თუ სანავიდან მიტაცებული არამე შემოსავლებით ვარ ნამჭკვარტლული, თქვენ თუ „სუფთები“ ხართ, ბენზინის ფასი კლების ნაცვლად რატომ მატულობსო?!

თუ ბიჭი ხარ, აბა იმართლე თავი, თანაც მაშინ, როცა საზოგადოებას წინ უდევს ამონარიდი „ბიზნესპრესნიუსის“ სტატიიდან: „პლატის“ საერთაშორისო ფასი არის 574 დოლარი, რაც ეროვნულ ვალუტაში 1056 ლარია (1,84 კურსით). ამას ემატება აქციონის გასახადი – 250 ლარი. ჯამში ვლენობით 1306 ლარს. 1 ტონა ბენზინი 1330 ლიტრი მოცულობისაა. თუ 1306 ლარს გავყოფთ 1330 ლიტრზე, მივიღებთ, რომ კომპანიებს 1 ლიტრი სანავი აქციონის გადასახადთან ერთად 98 თეთრი უჯდებათ. რასაკვირველია, სანავს ტრანსპორტირება და რეალიზაცია უნდა და ესეც კომპანიის ხარჯია. სანავითობო კომპანიებს ფინანსურ ანგარიშებში მითითებული აქვთ, რომ სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ოდენობა 1 ლიტრზე 10 თეთრს შეადგენს. როგორც დავთვალეთ, ერთი ლიტრი სანავი ყველანაირი ხარჯით 1.08 ლარი ჯდება. ამ თანხას ემატება დღე – 18 პროცენტი, რაც 19,4 თეთრია. საბოლოო ჯამში, ყველანაირი ხარჯის ჩათვლით 1 ლიტრი „პრემიუმი“ კომპანიებს დაახლოებით 1.27 ლარი უჯდებათ და საშუალოდ 2.09 ლარად ჰყიდის, ანუ 80-82-თეთრიანი მოგებით. გამოდის, რომ ეს კომპანიები სანავს 64 - პროცენტისანი მოგების მარჟით ჰყიდის, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიან გულსწყრამას ინვესტს.“

მაგრამ საქართველოში ვინ დაგვიდევს

ხალხის გულსწყრამას, უღმერთოდ გაქსუებული მონოპოლისტებმა და მათმა სახელისუფლებო „კრიშებმა“ ოღონდ თავად ამოივსო გაღორებული მუცლები და დამშეული მოსახლეობის ბედი სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში როდესაც სანავის ფასს ითვლიან, უეჭველად ითვალისწინებენ სანავის საერთაშორისო „პლატის“ ფასს, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯები. ექსპერტთა განმარტებით, ასეთ დროს კომპანიის მოგება შეიძლება შეადგენდეს სანავის ღირებულების მაქსიმუმ 5 პროცენტს. ჩვენთან, როგორც ჩანს, კომპანიები ზემოთ დასახლებულ ხარჯებს საკუთარ და ზემდგომთა ჯიბის ხარჯებსაც ამატებენ და, როგორც უკვე ვნახეთ, სანავს 64 პრო-

მთავრობა სანავის ფასით დაინტერესდა!



რატომ ღირს ბენზინი უსაშველოდ ძვირი?

ცნტიანი მოგების მარჟით ჰყიდის. თანაც „გაბოლებენ“: რა ვქნათ, ეს სანავი მაშინ შევიძინეთ, როცა ბაზარზე ძვირი ღირდა და ვიდრე ახალ პარტიებს არ შემოვიტანთ, ფასს კაპიკსაც ვერ დავაკლებთო.

ასეა, საქართველოში ნავთობპროდუქტების პერმანენტულ სიძვირეს მიზეზები არ დაელია, იმპორტიორი კომპანიები ამას ზოგჯერ მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის გაძვირებით ხსნიან, ზოგჯერ ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნით ან აღმოსავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური პრობლემებით. მის ნამდვილ მიზეზზე კი, რასაც ჩვენებურად ბაზრის მონოპოლიზაცია ჰქვია, გაჩუმდებიან. არადა, რეალიზაციის სად გაგვქვიათ. გავრცელებული ინფორმაციით, დღეს საქართველოს შიდაბაზარზე ისევე დომინირებს კეზერაშვილის „სადროშოს“ ქვეშ მოქმედი 50-მდე კომპანია, რომელთაც 2005-დან 2013 წლამდე პერიოდში, უხეში გათვლებით, ჯამურად დაახლოებით 4 მილიარდ 645 მილიონი ლარის ბრუნვა ჰქონდათ, რაც წელიწადში გათვლით, ნახევარ მილიარდზე მეტ თანხას შეადგენს. და ამ სტრუქტურით თანხას სათავეში მოექცა სრულიად ახალგაზრდა, არავითარი ბიზნესნარსულის მქონე დავით კეზერაშვილი, რომელიც პრევიდენტ სააკაშვილის ხელდასხმით გახდა ამ ნაძარცვი ფულის ფინანსური მენეჯერი და განმკარგავი. სწორედ კეზერაშვილის წყალობით შეძლო ნაცემობის ელიტამ საზღვარგარეთ, ოფშორულ ზონებში გაეტანა მონოპოლისტური ნაღვანის მიღებული ქონება, საიდანაც რთული გასაკვევია, რამდენია აქედან უშუალოდ სააკაშვილის,

რამდენი – კეზერაშვილისა და კიდევ დანარჩენი ელიტის (!?).

სამაგიეროდ, ნათელია შედეგი – დაქცეული ქვეყანა და გაღატაკებული მოსახლეობა, რომელიც ჩვენებური ნაცების მიერ გატარებული იმ რევოლუციური რეფორმების წყალობით მივიღეთ, რასაც დღეს ევროპული პარლამენტარები თუ ამერიკელი სენატორ-კონგრესმენები დემოკრატიის გზაზე შემდგარი სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითოდ მიიჩნევენ. აღარაფერს ვამბობ თავად მთელი ამ უბედურების შემოქმედ სააკაშვილზე, რომელიც ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის სამართლებრივად დევნილის მძიმე პირობებშიც, ჩვენი სატელევიზიო არხების წყალობით იოლად ახერხებს ყოველდღიურად თუ არა, დღეგამოშვებით მაინც დაუკავშირდეს მშობლიურ ხალხს და ახალი ხელისუფლების წარუმატებლობით ნაჩუქარი სევდა განუქარვოს. მადლობა მას სამშობლოსადმი ასეთი ერთგულებისა და თავდადებისათვის!

თუმცა, როცა მონოპოლიზაცია და მონოპოლისტებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება სამშობლოდან უნუგემოდ მოწყვეტილ სააკაშვილთან ერთად არ გავიხსენოთ ან გარდაცვლილი, ნაცების მმართველობის წლებში, „ეკონომიკის მადა“ წოდებული კახა ბენდუქიძე, რომელმაც ლამის თავი მოიკლა, ვიდრე ქვეყანაში მოქმედ ანტი-მონოპოლისტურ კანონს გააუქმებდა. საამისოდ მან საკმაოდ „სერიოზული“ მიზეზიც მოიყვანა: ეგვი თუ დაგლოვით, მექრთამებით გაირყვნიანო, განაცხადა ხმამაღლა და ქვეყანა რომ არ დაზარალებულიყო, გაუქმებული მუშაკების ფუნქცია (მექრთამებობა), მიუხედავად დიდი სამსახურებრივი გადატვირთვისა, სახელისუფლებო ელიტასთან ერთად, თავადვე შეითვსა(!).

ასეთი მიდგომით ნაცების მთავრობამ, ბუნებრივია, ვერ შექმნა ეკონომიკა, მაგრამ, სამაგიეროდ, შექმნა და განავითარა მონოპოლიზმი, რომელმაც გააღატაკა ქვეყანა და უზომოდ გააძლიერა მსხვილი ჩინოვიკობა, რომელიც მიმდობად ჩაეხუტა მთავრობის ხელდასხმით ნახალისებულ ასევე მსხვილ-მსხვილ მონოპოლისტებს. მიხეილ სააკაშვილის თავიანთობით შეიქმნა ერთპიროვნული მართვის რეჟიმი, რომლის წამყვანი „დარგი“ გახდა ელიტალური კორუფცია, ხოლო ბაზარზე ასევე ერთპიროვნულად გაბატონდა მონოპოლიზმი და არაფუნსალური კონკურენცია.

რას ფიქრობს ამის თაობაზე „ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც ბიზნესმენებს შეპირდა, რომ მოსვლისთანავე ქვეყანაში გაბატონდებულ მონოპოლიზმს ბოლოს მოუღებდა და ბიზნესს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას მისცემდა. როგორც ჩანს, მას ეს დაპირება არ დაეიწყინა, მაგრამ შესრულება გაუძნელდა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაუჭირდა. ჯერ იყო და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტის შესახებ“ კანონის მიღებას არ დაადგა საშველი, შემდეგ კი ამ კანონის შესაბამისად, კონკურენტის სააგენტოს შექმნას და ამოქმედებას. ფორმალურად სააგენტო კი შეიქმნა, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს, მონოპოლისტები კვლავაც ხელშეუხებლად პარპაშობენ ბაზარზე, მათ შორის, როგორც უკვე ვნახეთ, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიებიც, რომლებიც სანავაზე დრაკონული ფასებით ეკონომიკასაც კლავენ და ისედაც გაძვალტყავებულ მომხმარებლებს უკანასკნელ გროშებს სძალავენ.

გვინდა, დავიჯეროთ, რომ მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ამჯერად მაინც, როცა პრემიერი ღარიბაშვილი უშუალოდ ჩაერია სანავის უსაშველოდ გაძვირებით გამომწვეული პრობლემის მოგვარებაში, ბაზარი, ბოლოს და ბოლოს, მოიცილებს სისხლისმწოველ წურბელა მონოპოლისტებს, ქვეყანაში შეიქმნება ჯანსაღი კონკურენტის პირობები, რითაც იხიერებს ეკონომიკა და შვეებას იგრძნობს მოსახლეობა. რა თქმა უნდა, ქვეყნად არც ერთ მთავრობას, მათ შორის, არც „ქართულ ოცნებას“, არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ხალხი მათ მიერ ნაოცნებარ კეთილდღეობას მთელი ცხოვრება დაელოდება.

ითარ ხუციშვილი

ინფორმაცია

2015 წლის 12 თებერვალს 13:00 საათზე ქალაქ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქ. 10, გაიმართება, სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი შიდა-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-77) საავტომობილო გზის მე-4 კილომეტრში მდ. წაჩხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა შემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ინფორმაცია

2015 წლის 13 თებერვალს 13:00 საათზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: ლენტეხი, თამარ მეფის 24, გაიმართება, ქუთაისის წყალტუბო-ცაგერო-ლენტეხის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 117-ე კილომეტრში მდ. ცხენისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა შემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ქიულო

„მებრძოლი“ — ოქროს ლიბაში



პოლანდოში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველ ლიბაში ზედა ეშელონის 4 საგზურისთვის მებრძოლ 17 გუნდს შორის ორი ჩვენებურიც მონაწილეობდა.

რობაში ჩვენმა გუნდმა მასპინძელ „ბენ რიტდიკ სპორტს“ 4:1 სძლია, გროზნოს „ედელვაისიც“ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა, ნახევარფინალში მშრალი ანგარიშით — 5:0 აჯობა სერბეთის „რედ სტარს“.

ბრინჯაოს პრიზიორმა ვალერი ლიპარტელიანმა (90), ზეზედა რეზერვში (81), ზეზედა გოგოჭურმა (90), შალვა ქარდავაძე და ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ბრინჯაოსმედალოსანმა ამირან პაპინაშვილმა (66).

73 კილოში შეუცვლელად იჭიდავა ნუგზარ ტატალაშვილმა და ოთხივე ბრძოლა იპონით მოიგო. იმ სამი მარცხიდან ორჯერ ადამ ოქრუაშვილმა, ერთხელ კი მისმა ძმამ — ვახტანგ ოქრუაშვილმა წააგო. უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ცოტა დააკლდა „საგარეჯოს“, რომელიც საბოლოოდ მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა. საგარეჯოელებმა ერთნაირი ანგარიშით — 4:1 ჩამოიშორეს გზიდან სერბეთის „ძიუდოს კლუბი რაკოვიცა“ და „სტოკ-ჰოლმის პოლიცია“, ნახევარფინალში პოლანდის „ჰარლემ კანამიუსთან“ წააგეს 2:3, დამამშვიდებელში კი „სპორტინგ პორტუგალიასთან“ ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ. პორტუგალიაში გადასულმა ქუთაისელმა ანრი ეგუტიძემ უშანგი მარგიანს აჯობა და თავის გუნდს მომგებიანი ქულა მოუტანა. „საგარეჯოს“ ღირსებას მარგიანთან ერთად იცავდნენ ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ბექა ღვინიაშვილი და ლევან მატიაშვილი. ოქროს ლიგას რუსულმა სამარამ უმასპინძლა. ფინალში პეტერბურგის „იავარა-ნევაში“ (მის შემადგენლობაში ჯარჯი ზვიადაურიც ჭიდაობდა) „დინამო-ალანია“ დაამარცხა — 3:2. ბრინჯაოს მედალები გერმანიის „აენსბერგმა“ და ფრანგულმა „ლევალოისმა“ დაიმსახურეს.

ლევან ცინცაძე სურათზე: „მებრძოლი“.

აზაგი

ლევან ყიფიანა FIBA-ს მსხვერპლად საბადადლოელი წარსული მიიღო



სპორტისმა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანამ კალათბურთის მსხვერპლად საბადადლოელი წარსული მიიღო, რომელშიც ნათქვამია: ნება მომეცით მაღლობა გადაგიხადოთ FIBA-ს პრეზიდენტის ბატონი მურატორეს სახელით იმ მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, რაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციას გაუწიეთ. FIBA-ს წარმომადგენლობა მოხარულია იმ ფაქტით, რომ ფედერაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ახალი წესდება, რომელიც გათვალისწინებულია FIBA-ს რეკომენდაციები და რომელიც შეესაბამება თქვენი სამინისტროს მოთხოვნებს. ჩვენთვის სასიამოვნოა იმის გაგება, რომ საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის სწორი ნაბიჯები იდგმება, რაც თქვენი პერსონალური დამსახურებაა. ასევე, ჩვენ გულწრფელი მაღლობა გადავუხადეთ საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას წინგადადგმული ნაბიჯებისთვის, რაც სტაბილურობასა და სიტუაციის გაუმჯობესებას ემსახურება. გისურვებთ დღესასწაულების სასიამოვნოდ გატარებას და წარმატებულ, ბედნიერ დამდეგ ახალ წელს.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

ქართულები - კვარცხლბაქის უმაღლეს საფეხურზე



დოჰაში ორი კვირის განმავლობაში მთელი 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი მოიგო საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა. პირველ ნომრად განთესილმა ჩვენებურმა მთელი შეჯიბრებაში ერთმანეთის მიყოლებით დაჯაბანა ჯორჯო პორტალური (იტალია, 6:3, 6:2), ვინაიჭ უარმა კაზა (ინდოეთი, 6:1, 6:1), იორის დელო-



რე (ბელგია, 6:3, 6:4), მაქსიმილიან ნუჩრისტი (ავსტრია, 6:4, 5:7, 6:3), ჯეიმს მარსალეი (დიდი ბრიტანეთი, 6:1, 6:2) და მთავარი პრიზი დაიმსახურა.

გივი ბაგვა სურათზე: ევატერინე გორგოძე; ნიკოლოზ ბასილაშვილი.

ჭადრაკი

ჩემპიონატი - მე-16, უაღბლით - მე-6

საბარძიველს 16-წლამდე მოჭადრაკეთა ნაკრები (გიორგი სიბაშვილი, ნოე თუთისანი, ნინო ხომერიკი, ნიკა ღვამბერიძე, ნიკა ცომაია, მწვრთნელები - ხენია სუბატიშვილი, გიორგი ხომერიკი) უნგრულ დიორში თანატოლთა შორის მსოფლიო ოლიმპიადაში მონაწილეობდა სხვა 53 ნაკრებთან ერთად. საშუალო რეიტინგით ჩვენი გუნდი მე-16 იყო, ამიტომ სერიოზულ მეტოქედ არავინ აღიქვამდა. არადა, ქართველმა მოჭადრაკეებმა საკმაოდ ძლიერ მონაწილეობას აჩვენეს და გუნდური 13 ქულით (საერთო მონაგარი-24 ქულა: გიორგი სიბაშვილი-5 (9 შესვლედრიდან, რეიტინგი 2,4 პუნქტით გაიმდიდრა), ნოე თუთისანი-6,5 (10, (21,6), ნინო ხომერიკი-5 (10, (55,6), ნიკა ღვამბერიძე-7,5 (10, (91,2), ნიკოლოზ ცომაია-0 (1,0) ქულა.) მე-6 ადგილზე გავიდნენ. ოლიმპიადაზე პირველი-მესამე ადგილები კი ასე განაწილდა: ინდოეთი- 18 (26,5), რუსეთი-17 (27,5), ირანი-16 (30,0), უნგრეთი (1)-14 (26), კანადა-13 (24,5).



ლაზა დიდი სურათზე: მარცხნიდან - ნიკა ღვამბერიძე, ნინო ხომერიკი, ნოე თუთისანი, გიორგი სიბაშვილი, დგას გიორგი ხომერიკი.

ფაზაუთი

ევროპის სტადიონებზე

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ფინალი. „რეალი“ — „სან ლორენცო“ 2:0. მსახური, „ბარსელონა“ — „კორდობა“ 5:0, „ბილ-

ბაო“ — „ატლეტიკო“ 1:4, „სელტა“ — „ალმერია“ 0:1. ინტერნალი. „ლივერპული“ — „არსენალი“ 2:2, „ტოტენჰემი“ — „ბარნლი“ 2:1, „სიტი“ — „კრისტალ პალასი“ 3:0.



ბარნლი“ — „ბაიერნი“ 1:2, „ვერდერი“ — „ბორუსია“ 2:1, „ვოლფსბურგი“ 2:1. იტალია. „კალიარი“ — „იუვენტუსი“ 1:3, „რომა“ — „მილანი“ 0:0, „ინტერი“ — „ლაციო“ 2:2. საფრანგეთი. „ბორდო“ — „ლიონი“ 0:5, „პსჟ“ — „მონპელიე“ 0:0, „მარსელი“ — „ლილი“ 2:1. გიორგი შოთაძე

ავტოსპორტი

ჰერნანდო რიკარდოს სისწრაფე ფეტელის წასვლის ერთ-ერთი მიზეზია

„რედ ბული“ შეფი კრისტიან პორნერი არ გამოირჩევა, რომ სებასტიან ფეტელის „ფერარიში“ გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა დანიელ რიკარდოს „მოულდენი სისწრაფე“ იყო. პორნერი აღიარებს, რომ მისთვის უჩვეულოა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის „ფერარის“ წითელ ფერებში გამოწყობილის ხილვა, რადგან მან ყველაფერს ენერჯეტიკული სასმელების მწარმოებელი კომპანიის გუნდში მიაღწია. გერმანელმა მრბოლმა მართლაც ბევრი გააოცა, როცა ოქტომბერში გა-მოაცხადა, რომ „რედ ბულს“ ტოვებდა. პორნერის ამ განცხადების მიუხედავად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეტელი ახალი V6 ტურბოდირაქტის ფანი არაა. ამას თავად „რედ ბული“ შეფიც ადასტურებს: „მას არ მოსწონს ის, რაც ფ1-ში ხდება. ამას ხმამაღლა ამბობს. არ მოსწონს ძრავები, მათი ხმა და მანქანის მუშაობა“, — ბიბისისთან საუბრისას განაცხადა პორნერი. ის დასძენს, რომ მომავალ სეზონში „ფერარის“ ის ორი პილოტი ეყოლება, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუჭირდათ ახალ ძრავებთან შეგუება. „ის

(ფეტელი) ძალიან განწილებული იყო იმით, რომ მანქანისგან იმ რეაქციის ვერ ველოდი, რომელსაც ელოდა. ამას თან დაერთო ისიც, რომ მისმა თანაგუნდელმა რამდენიმე რბოლა მოიგო და მასავით მაღალ დონეზე ასპარეზობდა“, — ამბობს პორნერი.

რიკარდომ გასულ სეზონში სამი ეტაპი მოიგო და „მერსედესის“ ტანდემის უკან მესამე ადგილი დაიკავა, ფეტელმა კი ვერცერთი რბოლის მოგება ვერ შეძლო. პორნერიც სწორედ ამიტომ ფიქრობს, რომ რიკარდოს შოკის-მომგვრელი გამოცდის შემდეგ, ფეტელის გადსაწყვეტილების ერთ-ერთი ფაქტორი ყოფილიყო. ის იხსენებს, რომ მონცას რბოლისას ავსტრალიელის მიერ ფეტელის გასწრება შესაძლოა, გადამწყვეტი მომენტი იყო.

„მონცას შემდეგ ის (ფეტელი) წარმოუდგენლად განბილებული იყო. აშკარაა, რომ მან მალევე მიიღო გადაწყვეტილება და სინგაპურში სულ სხვა პიროვნება ჩამოვიდა. საბოლოოდ ეს დიდი მოულოდნელობა არც ყოფილა“, — ამბობს პორნერი.

კოზა კოზახიძე

დედაქალაქი

ბაბური ბაღის გაზაფხულის მოლოდინი



დედაქალაქის სხვადასხვა მხარის მცენარეთა კოლექციების შექმნა, კავკასიის ფლორის შესწავლა, ქვეყანაში კულტურულ მცენარეთა საუკეთესო ჯიშების შემოტანა, გამრავლება და გავრცელება, — აი, ეს გახლავთ 1845 წელს თბილისის სააფთიაქო ბაღისთვის ბოტანიკურის სტატუსის მინიჭების შემდგომ მისი მთავარი ამოცანები. მისი ისტორია კი იმით დაიწყო, რომ დედაქალაქის სამხრეთით, მდინარე ნავისის წყლის ხეობის ქვემო ნაწილში, ლეღვთაძეში, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეთა ბაღი გააშენეს, მისი არსებობა დოკუმენტურად მე-17 საუკუნის დასაწყისიდანაა დადასტურებული. 1801 წლიდან კი, ანუ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, მას თბილისის სახანო ბაღი ეწოდა, რომლის საფუძველზე 1809 წელს უკვე სხენებული სააფთიაქო ბაღი დაარსდა.


როგორც ცხოვრებით ცხოვრობს დღესდღეობით თბილისის აკვანის თავზე გადმომდგარი ეს მშვენიერი მწვანე ოაზისი, რა უჭირს, რა უღონის მასაც და იქ მომუშავე ხალხს — აი, ის კითხვები, რომლებიც თბილისის ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს, ბიოლოგის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს ნინო ბოტაძეს მივმართეთ.

— ბოტანიკური ბაღი სერიოზული სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც მუშაობა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს. აქ კავკასიისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ორი ათასზე მეტი სახეობა და შიდასახეობრივი ტაქსონი დაცული, სამეცნიერო მუშაობას ათამდე სხვადასხვა მიმართულებით თორმეტი განყოფილების სწავლულები ეწევიან. ბაღი ბოტანიკურ-გეოგრაფიულ საფუძველზე ორგანიზებულია, მასში ისტორიული ნაწილიცაა, ასევე ჩინეთ-იაპონიისა და ჰიმალაების ხეებისა და ბუჩქების, კავკასიის ფლორის იშვიათი და ენდემური სახეობების, საქართველოს სამედიცინო მცენარეების, წინვოვანი ხეებისა და სხვა კოლექციებია. არსებობს დიდი ხნის მანძილზე მას ბევრი გაჭირვება აქვს გამოვლილი და ახლა ცოტა ხელის შეშველება გეჭირდება, რათა მოძლიერება და საქმის კარგად გაძლოა შევძლოთ, — ამბობს ქალბატონი ნინო. — ბაღის დირექტორად წლებულს სექტემბერში დავინიშნე და პირველი, რითიც დავიწყეთ, 98 ჰექტარი ფართიდან სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და თავად ბაღის ნაგვის გატანა იყო: ოთხ თვეში 485 ტონა ნაგავი გავზიდეთ, მონაწილეობა მივიღეთ თბილისის ზეიმში — გამოვყინეთ 40 სახეობის ყვავილი და საარქივო ფოტომასალა, ორი დღის განმავლობაში ბაღში შემოსვლა უფასო იყო, სტუმრად გვყავდა მცხეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლის 20-კაციანი ჯგუფი, რომლებსაც ქველმოქმედების სახით წიგნები, ქოთნისანი ყვავილები გადავეცით, ტკბილეულით გავუმასპინძლდით. ამჟამად 4 ათას კვადრატულ მეტრზე ასფალტს ვაგებთ, სახსრები სანამდე გავგწვდება, სამუშაოს მანამდე განვაგ-

რობთ. თანამშრომელთათვის ვაპირებთ სასაღიფო, ასევე დასვენების ოთახის მოწყობას. ბაღის მთელ ტერიტორიაზე დაამონტაჟეს სანაგვე ურნები, დადგეს სკამები, მონიშნეს წყლის შადრევნების ადგილები, მოსავლელ უბნებზე განთავსებულ მუშათა სახლებში შეიყვანეს წყალი და დენი, რომელიც მანამდე არ ჰქონდათ. ვაპირებთ საკანალიზაციო სისტემის მოწყობასაც — ბაღის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტები დღესდღეობით არ არის.

დაფინანსებით დედაქალაქის მერია გვაფინანსებს, ამასთან ორ ათეულ წელზე მეტია, გრანტის სახით გარკვეულ თანხას ქართუ ჯგუფი გვაძლევს, რომლის მცირე ნაწილი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას, ძირითადად კი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ხმარდება.

ქალბატონ ნინოს თქმით, ახალი წლისთვის ბოტანიკურ ბაღშიც ემზადებიან: 25 დეკემბერს სვანეთიდან ჩამოსული თოვლის პაპა, თბილისის მერთან დავით ნარმაზიასთან ერთად პარლამენტის მოედანზე ქვეყნის მთავარ ნაძვის ხეს აანთებს, 26 დეკემბერს კი



ბოტანიკურ ბაღში სეირნობას, ცხადია, განა რა სჯობს, მაგრამ კვალიფიციური გიდის თანხლებით აქაურობის მონახულებას ნამდვილად სხვა, ასე ვთქვათ, შემეცნებით-საგანმანათლებლო ეზში აქვს. გიდების როლს ჩვენი თანამშრომლები ითავსებენ, რომლებმაც ზედმინვენი იციან ბაღის ისტორია, თითოეული მცენარის წარმოშობა, გიდებზე მოთხოვნა, ძირითად, სკოლის მოსწავლეებსა და რაიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს აქვთ, მთელი მარშრუტი კი დაახლოებით ორ საათს გრძელდება.

კიდევ ერთი პროექტი სამთო ველოსიპედებით სეირნობის მოყვარულთათვის გეგმავს გათვალისწინებული, რისთვისაც შესაბამისი ბილიკებისთვის ადგილებიც შევარჩიეთ. პროექტის ერთგვარი მთიელთა თბილისობაზე გეგონდა, როცა ბაღში სამკლიომეტრიან წრეზე შემოვლაში ერთმანეთს მოყვარულ სპორტსმენთა ჯგუფი შეეჯიბრა, რომლებმაც ძალიან კარგი შეფასება მისცეს „ბოტანიკურ ტრასას“.

ამიტომ მომავალში საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან, ვერძო ტურისტულ კომპანიებთან აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებთ, მანამდე კი ჯერ ინფრასტრუქტურა სრულდება მოვანესრულებთ. სამომავლო გეგმები დიდი გვაქვს: ვაპირებთ ეგრეთ წოდებული „ფრანგული ორანჟერის“ აღდგენას, 700 კვადრატული მეტრის ფართობზე კი... საქონინო ორანჟერის მოწყობას, სადაც წყვილებში ხელს მოაწერენ. გვინდა ბოტანიკური მუზეუმის ავარიული შენობის სრული რეაბილიტაცია, ორი წლის წინათ დამწვარი საწინააღმდეგავი აღდგენა — კარგი ჯიშის მცენარეები ბოტანიკურ ბაღში გასაყიდად აუცილებლად უნდა იყოს, რადგან მათზე მოთხოვნილება ძალიან დიდია.

თუმცა ისიცაა, რომ საქმიანობაში ზოგჯერ გარკვეულ წინააღმდეგობებსაც ვაწყდებით. მაგალითად, კარგა ხნის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს გადასახადების სამსახური ვერა და ვერ ჩამოყალიბდა იმაზე, თუ როგორ უნდა დავებეგრეთ. საქმესაა, რომ მინის გადასახადი 98 ჰექტარ ფართზე წელიწადში 400 ათას ლარამდე უნდეს, რის გადახდას ვერანაირად ვერ შევძლებთ იმ მარტივი მიზეზით, რომ შემოსავალი 100-120 ათას ვერ სცდება. ამიტომ ეს საკითხი მუდმივად, რომ იტყვიან, „ჰაერში იყო გამოკიდებული“, მაგრამ ახლა უკვე ამ გადასახადის გადახდის განათავისუფლებული ვართ და მხოლოდ მოგების გადასახადით დავიბეგრებით.

ბოტანიკურ ბაღში სეირნობას, ცხადია, განა რა სჯობს, მაგრამ კვალიფიციური გიდის თანხლებით აქაურობის მონახულებას ნამდვილად სხვა, ასე ვთქვათ, შემეცნებით-საგანმანათლებლო ეზში აქვს. გიდების როლს ჩვენი თანამშრომლები ითავსებენ, რომლებმაც ზედმინვენი იციან ბაღის ისტორია, თითოეული მცენარის წარმოშობა, გიდებზე მოთხოვნა, ძირითად, სკოლის მოსწავლეებსა და რაიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს აქვთ, მთელი მარშრუტი კი დაახლოებით ორ საათს გრძელდება.

კიდევ ერთი პროექტი სამთო ველოსიპედებით სეირნობის მოყვარულთათვის გეგმავს გათვალისწინებული, რისთვისაც შესაბამისი ბილიკებისთვის ადგილებიც შევარჩიეთ. პროექტის ერთგვარი მთიელთა თბილისობაზე გეგონდა, როცა ბაღში სამკლიომეტრიან წრეზე შემოვლაში ერთმანეთს მოყვარულ სპორტსმენთა ჯგუფი შეეჯიბრა, რომლებმაც ძალიან კარგი შეფასება მისცეს „ბოტანიკურ ტრასას“.

ასევე საგულისხმოა ახალგაზრდა ენერგიული დირექტორის გეგმები ბიოლოგია-ბოტანიკის განხრით საკვირაო სკოლის დაფუძნებასთან დაკავშირებით, სადაც სპეციალისტები სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ეკოლოგიურ განათლებას აუმაღლებენ. ასევე მეტად საყურადღებოა საკონკურსო ტიპის პროექტი „15 წუთი ბოტანიკური ბაღის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სკოლების ბოტანიკის მასწავლებლები. კონკურ-

სის არსი მათ მიერ ბოტანიკის შესახებ 15-წუთიანი გაკვეთილის მომზადება იქნება, რომელსაც კომპეტენტური ჟიური შეაფასებს. ორივე პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მონონებულია, კონკურსის წარმატებული მონაწილეები კი გარკვეულ კრედიტულ უფლებს მიიღებენ, რაც მათთვის უდავოდ სტიმული იქნება, ვინაიდან, საბოლოო ანგარიშით, თითოეულის პირად რეიტინგზე და, შესაბამისად, ხელფასზე აისახება. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ამ წამოწყებამ სხვა საგნებშიც ანალოგიური კონკურსების ჩატარებას უნდა მისცეს იმპულსი, რაც ყველასთვის სარგებლის მომტანი იქნება.

2005 წლიდან მყოფი ბოტანიკური ბაღი მილენიუმის თესლის ბანის საერთაშორისო პროექტში 50 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობს, რომლის მიზანია გადასწავლის პირას მყოფი და წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების გაყინვით კონსერვაცია. ორგანიზაცია ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო ასოციაციის წევრია, მას მუდმივი საქმიანი კავშირები აქვს ბერლინის (გერმანია), მისურის (აშშ), ქიუს (დიდი ბრიტანეთი), დონეცკის, კიევის (უკრაინა), სხვა ქვეყნების და ცხადია, საქართველოს სხვა ქალაქების ბოტანიკურ ბაღებთან.

— ბოლოს აუცილებლად მინდა, აღვნიშნო ჩვენთვის ერთი მეტად საგულისხმო გარემოება, — ერთგვარი სიამაყით ამბობს ქალბატონი ნინო, — რამდენიმე ათეული წელია აბანოთუბანსა და მის მახლობლად მცხოვრებ ყოფილ სპორტსმენთა ერთი ჯგუფი დილაობით ადრინადად ამოდის ბოტანიკურ ბაღში, ზოგი ვარჯიშობს, ზოგიც, უბრალოდ, სეირნობს. ეს ხალხი ბაღის დიდი გულშემატკივარია, ამდენად მისი უწინდელი მოუვლელობა გულს სტკენდათ, რასაც საჯაროდ გამოთქვამდნენ კიდევ. ამდენად, ბუნებრივად, მათი პირადად გაცნობის დიდი სურვილი მქონდა და მინდოდა, მადლობა მეტყვა ქომაგობისთვის. ეს შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ შედგა, ჩამოვყალიბებ ბოტანიკური ბაღის მოყვარულთა ჯგუფი, რომლის წევრებმა ადმინისტრაციას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. ერთ-ერთი მეტად საჭირობოროტო საკითხია ბოტანიკურ ბაღში ასათიანის (ყოფილი ინგლისის) ქუჩიდან გვირაბით შემოსვლის ალდგენა, რაც დიდად გაუადვილებს მნახველებს გზას. ამჟამად ეს გვირაბი თბილისის მერიის ბალანსზე კია, მაგრამ უკვალო უზურფრუქტით თავდაცვის სამინისტროზე გადაცემული, რომელსაც იქ სანყობი აქვს მოწყობილი. სოლოლაკში უკვე არსებობს თურმე ამ გვირაბის გახსნის საინცივატივო ჯგუფი და, როგორც ჩვენმა მეგობრებმა მიხსრეს, თუ საჭირო იქნება, მათთანაც კავშირს დამყარებენ და მოსახლეობაშიც ხელმონერებსაც შეაგროვებენ.

ამდენად, გეგმები მრავლად გვაქვს, ვფიქრობ, რომ მათ ფრთაშესხმას ბევრითი მუშაობით ყველანი ერთად აუცილებლად შევძლებთ, რადგან საქმეც გვიყვარს და ისიც ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ.

ნინო ბოტაძე

მეუღლე მიმოზა მიქავა, შვილები მანანა, ზურაბ ჩიქავები, სიძეები გოჩა ანთელავა, ირაკლი ორჯონიკიძე, რძლები მარინა აფაქიძე, ქეთევან ჩახუნაშვილი, შვილ-სანდრა ჩიქავები, გიორგი, ნათია ანთელავები, შვილ-თაშვილები მარიამ ბურჯანაძე, ზურაბ ჩიქავა, გიორგი ორჯონიკიძე, ძმა ლეო ჩიქავა, და მზია ჩიქავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

იოსებ ჩიქავა
პანაშვიდი თბილისი 23, 24 XII 16 სთ. პეკინი 19, II სადარბაზო, ზუგდიდი 25, 26 XII, ორბელიანის 6. დაკრძალვა ზუგდიდი 27. XII, 15 სთ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იზიარებს აკადემიის წევრობის მემბრის ლეო ჩიქავას მწუხარებას მის

იოსებ ჩიქავა
გარდაცვალების გამო.

გიორგი ნაჭყვია ოჯახით მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

იოსებ ჩიქავა
და ამ დიდი დანაკლისის გამო გულთღადად უსამძიმრებს განსვენებულს ოჯახსა და ახლობლებს.

ინფორმაცია

„მაესტრო“ რეორგანიზაცია გამოცხადდა

ტელეკომპანია „მაესტრო-ზე“ სრული რეორგანიზაცია გამოცხადდა. ამის შესახებ არხის დირექციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. „ტელეკომპანია „მაესტრო“ ადასტურებს რომ, არხი დატოვა დირექტორის მოადგილემ და „ცხრიანის“ წამყვანმა ნინო ჟილაშვილმა. მასთან ერთად არხიდან წავიდა რამდენიმე პროდიუსერი და ჟურნალისტების ნაწილი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, „მაესტროს“ დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, გამოაცხადოს არხის სრული რეორგანიზაცია, რომელიც მანამდე ისედაც იგეგმებოდა. გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ახალი ამბები“ რჩება არხის პრიორიტეტად, რომელიც რეორგანიზაციის შემდეგ განახლებული ფორმატით და ბაილი დაუბრუნდება სატელევიზიო სივრცეს, — ნათქვამია განცხადებაში.



სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობა მთელ მსოფლიოში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტად მძაფრდება. მისი არა-

მუშავებელ ოჯახურ მეურნეობებში 2020 წლისთვის გადაიღო, ამდენად რძისა და სუბპროდუქტების ბაზარზე ეს გარემოება, ჯერჯერობით მაინც, პროდუქციას იმაზე მეტად აღარ გააძვირებს, რაც ცოცხალი წინააღმდეგობა, ამდენად, რძის ნაწარმის ამჟამინდელ გაძვირებას გადამამუშავებელ საწარმოებში HASP-ის სისტემის დანერგვასთან კავშირი არა აქვს, ამის მიზეზები სხვაა, რის შესახებ წინა პუბლიკაციებში გვქონდა ლაპარაკი, ამდენად ამაზე აღარ შევჩერდებით. სორცის შემთხვევაში ვითარება სრულიად განსხვავებულია, რაც, უწინარესად, იმითაა განპირობებული, რომ სამომხმარებლო ბაზარზე სორცი დღესდღეობით

სასაშლამის „აღიარება“



ერთ-ერთი სავალდებულო მდგენელი საფრთხისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის, ანუ HASP-ის სისტემის არსებობაა. არსებითად, HASP – ესაა მენარმის მიერ დანერგული შიდა კონტროლის სისტემა. 2012 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად, სასაქლოებსა და რძის გადამამუშავებელ საწარმოებს, 2015 წლის 1 იანვრიდან, რისკებისა და კრიტიკული წერტილების სისტემის (HASP) დანერგვის გარეშე მუშაობა ეკრძალებათ. იმის გათვალისწინებით, რომ HASP-ის სისტემის დანერგვა და მისი გამართულად მოქმედება მენარმე სუბიექტის ვალდებულებაა, ეს, ბუნებრივია, საწარმოო ხარჯს გაზრდის, რაც, თავის მხრივ, პროდუქციის თვითღირებულებასა და შემდგომ საბოლოო თუ სამომხმარებლო ფასზე აუცილებლად აისახება. მაგრამ, საქმე ისაა, რომ HASP-ის სისტემის ამოქმედება რძის გადამ-

მხოლოდ სასაქლოების გავლით ხდება, რამაც თავის დროზე საზოგადოებაშიც და მასშედიანში დიდი მიტქმა-მოტქმა გამოიწვია. ახალი წლის შემდეგ კი HASP-ის სისტემით აღჭურვილი სასაქლო, ფაქტობრივად, ვეღარ იმუშავებს, არადა ამ სისტემის დანერგვა და მისი გამართულად მუშაობა საკმაოდ ხარჯს მოითხოვს, რაც, ბუნებრივია, სორცის ისედაც უსაშველოდ მომატებულ ფასს კიდევ უფრო გაზრდის. თუმცა, აქ ერთი, ჩვენი აზრით, ერთობ საგულისხმო გარემოებას გვინდა, გავუსვავთ ხაზი: არსებული მონაცემებით, სასაქლოებში HASP-ის სისტემის დანერგვა 15 ათასი ევრო დაჯდება. ამასთან დაკავშირებით, სორცის წარმოების დარგის ოპერატორები ადრეც და ახლაც აღნიშნავდნენ, რომ ეს დამატებითი ხარჯი სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის ფასის ზრდაზე აისახება, მაგრამ, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რა მოგე-

ბას ნახულობენ სასაქლოები თავიანთი მოღვაწეობიდან, გვერწმუნეთ, პატივცემული მკითხველო, ეს თანხა ნამდვილად არ არის სორცის ფასის რამდენადმე სერიოზული მატების საწარმო საბაზის ამასთან, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც ცოცხალი წინააღმდეგობის ზოგიერთი საშუალებიდან ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი სასაქლო საწარმომ დაგეგნულ HASP-ის სისტემის დანერგვის არსისა და დანიშნულების შესახებ... წარმოადგენა არა აქვს(!), ეს იმ კონკრეტული საწარმოს საქმიანობაზე აუცილებლად უარყოფითად აისახება და, გარკვეულ ვითარებაში, რომლის გარჩევას აქ ნამდვილად არ შეუძლებელია, მის პროდუქციას, ცხადია, სხვისაზე მეტად გააძვირებს და, ამიტომ, ნაკლებად კონკურენტუნარიანს გახდის. ხოლო რაც შეეხება შიდაამეურნეობებში დამუშავებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, ასეთები აგრარულ ბაზრებსა და მალაზიებში ძველებურად ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე 2020 წლამდე გაიყიდება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ სასაქლოში HASP-ის სისტემა უკვე წლების მანძილზე მოქმედებს, ამდენად, ახალი წლიდან პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციის ამოქმედება მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ის სასაქლოები და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოები კი, რომლებიც პირველი იანვრისთვის კანონით გათვალისწინებულ ახალ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, თავიანთ პროდუქციას ვეღარ გაყიდვინებენ. ეს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად მცირე ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს შეეხება, რომელთათვისაც ცხოველური წარმოშობის პროდუქციის, ასე ვთქვათ, „ოფიციალური ბაზარი“ ანუ სავაჭრო ქსელი, დაიხურება და მხოლოდ ისედაც აკრძალული გარევაჭრობის „სარკმელი“ დარჩებათ „ლია“. არადა, HASP-ის სისტემის დანერგვა არა თუ მაინცდამაინც იაფიანი „სიამოვნება“ არ არის, ამასთან ერთად ეს პროცესი საკმაოდ დროსაც მოითხოვს და ერთი წელი ვადა სჭირდება. იგი ორ ეტაპად ხორციელდება: თავდაპირველად ხდება საწარმოს ეგრეთ წოდებული „პრობითი აღიარება“, რომელიც ცხოველური წარმოშობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს დაპროექტებასა და სათანადო აღჭურვას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს, ერთი წლის შემდეგ კი „საწარმოს საბოლოო აღიარება“ უკვე მის HASP-ის სისტემის შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

ინფო ალექსანდრია

ცინცხალი ანეკდოტები

- მრავალპარტიულობა:
- ამჟამად რას საქმიანობთ?
- ახალი ტიპის პარტიას ვქმნით.
- რა სტადიაშია ეს პროცესი?
- ჯერჯერობით „იმ ტიპს“ ვეძებთ...
- რა? მიხრ, რამ შეგანუხა, რას უჩივი?
- თავსა, ექიმო, თავს ვუჩივი!
- მაშ, მაგრა გტკივა-ა, პა?
- არა, ექიმო, კი არ მტკივა, მიშლის!
- ექიმო საბოლოოდ დაგწმუნდით, რომ ნაპოლეონი ვარ, ოღონდ ჯერ ვერ დამიდგენია, რომელი!

- როგორ თუ რომელი? იმის თქმა გინდა, რომ ვერ გაგიკვებია ნაპოლეონ I ბონაპარტი, ნაპოლეონ II თუ ნაპოლეონ III ხარ?
- არა, ექიმო, ის ვერ გავიგე – ტორტი ვარ თუ კონიკი...
- მიხრ, ვინაა შენი ოცნების ქალიშვილი?
- ემანდ პასპორტში ყველაფერი სწერია!...
რბ არის, რა ხდება, ვერ გამიგია – ამ კოპოერატიულ სადამოებზე ყოველთვის ერთნაირი მოწყენილობა როგორ არის? არადა, აბა, ერთი გამოტოვე, მერე ყურებს გამოგიჭედავენ – წუხელი ასეთი დრო ვატარებ, ისეთი, რომ უკეთესი არ შეიძლება! განა მე ვუშლი მაგათ მხიარულებას?

სათრავლა

უკვანტაპი საკვანტაოლ?

ყოყლოჩინა მატრახაზო, როცა გისმენ, მართლა ვბრაზობ, დარდით დაღის ხეობისა, თქვენმა მიხომ მტერს რომ მისცა

ახლოა ქამი!

განკითხვის ჟამი რომ დადგება, სად იმალეხით, სოროსის ვერცხლით მოსყიდული შადიმანები?

სხვისი ჭკუით, სხვისი თავით თქვენს საბატო-საკვატაოს, აქცია სურს,? – უკვანტაო რომ გაგვიხდეს საკვანტაოდ.

რადგანაც ჯიბე უკვე გაივსეთ, გამართებთ, დაფიქრდეთ აპოკალიფსზე! ალექსანდრე შენგელია

დედამის ზურგზე

ჩინეთი აშენებს სამხედრო ბაზას სდავო კუნძულზე გვირდით, რომელზეც ასევე პრეზიდენტის იანგონიაც ატყდა

დიდი სამხედრო ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს ჩეცვიანის პროვინციის ნანცის კუნძულზე, რომელიც 300 კილომეტრის დაშორებითაა სენაკუს კუნძულებიდან, რომლებსაც იაპონია თავის ტერიტორიად მიიჩნევს. ნანცის კუნძულები ახლოსაა ადავო არქიპელაგთან, სამხედრო ბაზის მშენებლობა საშუალებას მისცემს ჩინეთს, განამტკიცოს თავისი პრეტენზიები ტერიტორიაზე.

ჩინეთში აზარტული თამაშებისა და პორნოს მუშაობისთვის 30 ათას კაცზე მეტი დააპატიმრეს

პოლიციელებმა აიყვანეს ბრალდებით ამგვარი სამართალდარღვევისთვის 3014 კაცი, კიდევ 5 ათასზე მეტი ეჭვმიტანილი დაპატიმრების საფრთხის ქვეშაა, მათი ბედი წყდება. დაკავებულთა შორის აღმოჩნდნენ იმ დაჯგუფების წევრები, რომლებიც აწარმოებენ ამ აზარტულ თამაშებს ქალაქ ზოიჩუოში. მათი საქმიანობის ბრუნვა დაახლოებით 4,82 მილიონ დოლარს შეადგენს.

პორუგალიაში გადამოხდა გადამხდა ამერიკის შერთიულ შტატებს ღირების წინააღმდეგ საწმინდის შემოღებისთვის

„პოტრ პორუგალიაში ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ ხელმოწერის მნიშვნელობა უკრაინის თავისუფლების მხარდასაჭერად და მიულოცა მას სოლიდარობისთვის უკრაინასთან. ამერიკის შეერთებული შტატებმა შემოიღო დამატებითი სანქციები ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით“, – ნათქვამია უკრაინის ლიდერის გვერდზე.

ფლორიდაში მისის დაცემის შემდეგ ათხე მეტი კაცი საავადმყოფოში მოხდა

სულ დაზარალდა 12 კაცი. ინციდენტი მოხდა 31 დეკემბერს საღამოს სტადიონის გვერდით, სადაც მიმდინარეობდა ეროვნული საფეხბურთო ლიგის მატჩი „ტამპა ბეი ბაქსერსა“ და „გრინ-ბეი პეკერსს“ შორის. ხალხს ელვა არ შეხებია.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობების სამსახური. გამომცემელი: შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79. შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20). ISSN 2233-3851. მთავარი რედაქტორი: ალექო ასლანიშვილი. 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი: მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24.